მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური ❀ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ.აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრეს.კომიტეტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრეს.კომიტეტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საკმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

ხელოსნოს ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დასარიგებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმოწერი მიიღებენ „ჩერეზდანში“ და „მეცნიერება და ტექნიკაში“. განცხადებანი: ნომაირულის სტრიქონში—20 კ., აყოფა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადებ. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

საქართ. ... ბიბლიოთეკა
კომპლექტი

ДЕЛЕГАНДЕЛИ ГАЗЕТИ ... ТБИЛИСИ

ДЕЛИУРИ

— საზარანგეთში ძლიერდებიან პროლეტარული მოლიბანობის კომიტეტები.

— იტალიის პრესა შესაძლებლად თვლის ... სახელმწიფოების ჩარევას ბულგარეთის საქმეებში.

— გერმანიის კომპარტია მიესალმა „ნარკომსაქმის კომისიის“ პროცესზე გასამართლებულ რევოლიუციონერებს.

— ვანდერველდეს უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე.

კვირა, 26 აპრილი 1925 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 94 (1249)

ორშაბათს, 27 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) მოწვეულია

თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ზაჰესის მუშაობის მსვლელობის შესახებ და მისი პერსპექტივები.
2) ზაჰესის ენერგიის გამოყენების შესახებ.
3) საბჭოს და მისი ორგანოების მომავალი მუშაობის გეგმა.
4) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

საბჭოს დეპუტატები, რომელნიც ვერ მოასწრებენ მანდატების აღებას თავის დროზე, მიიღებენ მას საბჭოს სხდომის გახსნის წინ. აქვე სწარმოებს სექციებში ჩაწერაც.

თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, საბჭოს დეპუტატებს შეუძლიათ უფასოთ ისარგებლონ ტრამვაით საბჭოს მანდატებით, საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომის დღეს.—ორშაბათობით.

1157 2—2 **პრეზიდიუმი.**

მაისის 8-ს თბილისში (რუსთაველის პრ. 22) მოწვეულია

„რემედას“-ის საქართველოს ცეკას პლენუმი

დღის წესრიგი:

1. ცეკას ანგარიში,
2. მოხსენებები ადგილებიდან,
3. „რემედას“-ის მორიგი ამოცანები,
4. „რემედას“-ის საკავშირო ყრილობაზე დელეგატების არჩევა,
5. მიმდინარე საკითხები.

უნდა დაესწრონ ცეკას წევრები, კანდიდატები და სამაზრო კომიტეტების თავმჯდომარენი.

ცეკას პმგ. მდივანი **ბუზიკაშვილი.**

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასსები გადაიხდიან პირველ მაისის დღესასწაულს. რა პირობებში გვიხდება წრეულს ამ დღის ჩატარება, რა ლოზუნგებს ვაყენებთ ამ დღის?

საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკურად განმტკიცებულია. მშრომელთა ბატონობის იდეა ძველ-რბილში აქვთ გამჯდარი მუშებს და გლეხებს.

მშრომელი მასსა გახურებულ აღმშენებლობითი მუშაობაშია ჩამბუღი. უდიდესი მიღწევები გვაქვს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აღორძინების დარგში. ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამის დამამტკიცებელი ფაქტები ჩვენ არა ერთხელ მოგვიყვანია.

მაგრამ რაც დღემდე არის შესრულებული, გამარჯვებული მშრომელი ხალხი ამით ოდნავადაც არ დაკმაყოფილდება. რა - გვაქვს პირველ რიგში გასაკეთებელი? პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ—აი, ჩვენი მუშაობის ძირითადი ლოზუნგი ამჟამად. რა ნაირი დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი მიღწევები გლეხობის პოლიტიკურ გათვითცნობიერების, ეკონომიურ და კულტურულ დონის აწევის საქმეში, იგი ჯერ-ჯერობით მაინც ჩამორჩენილია ყოველმხრივ ამასთან შედარებით, როგორიც უნდა იყოს ბანი მდგომარეობა. ძველი რეჟიმის წყალობით შექმნილი, გლეხობის სიღარიბის, სიბეჩავის, სიბნელის მოსპობა რამდენიმე წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა.

ამიტომ, მთელი ჩვენი ენერგია და საშუალებანი დღეს სოფლის აღორძინებისაკენაა მობყრობილი. გლეხობის მასსების უშუალო ჩამბა სახელმწიფოებრივ - საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი საზოგადოებრივი აქტივობისა და თაოსნობისათვის ფართე გასაქანის მიცემა, მისი ნივთიერი კეთილდღეობის აწევა და კულტურული დონის ამაღლება—შეადგენს ჩვენს უმთავრეს ამოცანას.

პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირის უფრო განმტკიცება მუშათა კლასსა და გლეხობას შორის—აი, ჩვენი მიზანი. მისი განხორციელება უტყუარი საწინდარია შრომის საბოლოო გამარჯვების.

პირველ მაისის დღესასწაულზე, რომელიც ახის შრომის სუფევის სიმბოლო, ჩვენ ვაყენებთ ამ კავშირის განმტკიცების ლოზუნგს. განმარტება გლეხობისათვის მისი მნიშვნელობის, გაშუქება საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ მხრივ მიღებულ ღონისძიებების—ასეთი იქნება შინაარსი პირველ მაისის დღესასწაულის.

ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიერ მოპოებულ გამარჯვების შენარჩუნება-განმტკიცება ბევრადაა დამოკიდებული მსოფლიო რევოლიუციის ბედზე. კაპიტალისტურ მსოფლიოს მშრომელთა მდგომარეობა დღეს მეტად რთულია. ბურჟუაზია იქ დროებით რამდენიმედ გაიმართა წელში და მთელ ფრონტზე ადგილ-ადგილ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ინგლისში ზის კონსერვატორების მთავრობა, გერმანიაში მონარქისტები თანდათან ეუფლებიან ძალა-უფლებას. ბულგარეთში მძინვარებს გაუგონარი თეთრი ტერორი, მუშებს და გლეხებს ათასობით ხვრეტავენ. არსებითად ასეთი მდგომარეობაა ყველგან ბურჟუაზიულ ქვეყნებში. მუშებმა კაპიტალის სამეფოში დაკარგეს ხანგრძლივი ბრძოლით მოპოებული უფლებები, ბევრგან გაუქმებულია რვა საათის სამუშაო დღე და სხ.

დღეს მუშათა კლასი იქ შეტეგიდან თავდაცვაზეა გადასული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამაში უდიდესი „დამსახურება“ მიუძღვის მეორე ინტერნაციონალის პარტიებს, რომელნიც ბურჟაზიის აშკარა აგენტებს წარმოადგენენ.

ასეთ პირობებში ხდება კაპიტალისტური მსოფლიოს მშრომელი მასსა პირველ მაისს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ფიზიკურად ადევნებს თვალყურს შრომასა და კაპიტალს შორის იქ მიმდინარე ბრძოლას. პირველ მაისის დღესასწაული საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის დღეა. ამ დღეს, როგორც ყოველთვის, ჩვენი მუშათა კლასი თავის ძმურ სალამს უძღვნის ბურჟუაზიულ მსოფლიოს მებრძოლ მუშათა კლასს და უფრო განამტკიცებს თვის სოლიდარობას მასთან, გაამხნევებს მას.

თავის მხრივ ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელი მასენი თანდათან უფრო რწმუნდებიან, რომ მხოლოდ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაერთიანებით შეიძლება ძლევამოსილი ბრძოლა კაპიტალის ცხეე-სიმაგრის წინააღმდეგ. მუშათა ერთიანი ფრონტის იდეა სულ უფრო პოპულარული ხდება. კერძოდ დიდია მისწრაფება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან დაახლოებისაკენ. ამ მხრივ მეტად ძნიშნელოვანია ის შეთანხმება, რომელიც იქნა მიღწეული ინგლის-საბჭოთა პროფკავშირებ შორის.

ამასთან მშრომელთა ერთიანობა თვითეულ ქვეყნის შიგნით უნდა იქნეს განხორციელებული, კომუნისტური პარტიების წინაშე დღეს დგას ამოცანა სისტემატიური, მეთოდიურ მუშაობისა მშრომელთა რიგებში დასარაზმავად, გლეხობის ჩასაბმელად ბრძოლაში, რათა მომზადებული იქნეს ნიადაგი გაზლილი ფრონტით შეტევისათვის გათავხედებული ბურჟუაზიის დასამხობათ.

მძიმე და რთულია დღეს მსოფლიო მუშათა კლასის მდგომარეობა. მაგრამ იგი სულით არ არის გატეხილი. პირველ მაისს, რომელიც არის რევოლიუციის ძალთა დათვალიერების დღე, ბურჟუაზიულ ქვეყნიერების მუშათა კლასი ცხადყოფს, რომ იგი ახალ ძალებს აკრებს და ემზადება ძლევამოსილი ბრძოლისათვის. მართალია, ბევრ ალგას პირველ მაისს დღესასწაული აკრძალული იქნება, რადგან ბურჟუაზიას ეშინია მშრომელთა მრისხანე დემონსტრაციის. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც შესძლებს თავის რევოლიუციონური ნებისყოფის გამოჩენას.

მიწის ჩამოართმევის ფესვების შესახებ

(საქართველოს ცაკის დადგენილების გამო)

სასოფლო მეურნეობაში მიწა ის ქვაკუთხედია, რომელზედაც აშენებულია მთელი სიძლიერე სოფლის მშრომელ მეურნისა და საერთოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის. გასაბჭოებამდე მიწა იყო მშრომელ გლეხობის გასაყვლეფ იარაღად თავადაზნაურებისა და ჩარჩების ხელში.

ის უმნიშვნელო ნაჭერი მიწისა, რომელიც გაიჭედა გლეხს მის საკუთრებაში: საეზოო და საბოსტნოს სახით, რომელსაც გლეხი უკლიდა და ანაყოფიერებდა, ეს პატარა ნაჭერი წალკოტათ იყო გადაქცეული გლეხის მიერ, მაგრამ ამ დროს ის ეწეოდა მტაცებლურ მეურნეობას იმ დიდ ნაკვეთებზე, რომელსაც ის ღებულობდა იჯარის სახით მემამულესგან. გლეხი აქ მართალი იყო, ვინაიდან მემამულე მას მიწას აძლევდა ერთი წლის ვადით. გლეხი არ იყო დარწმუნებული, მიიღებდა თუ არა საგაისოთ იმ ნაჭერს დასამუშავებლათ, რომელსაც ამუშავებდა წე -ს.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი წესი მიწით სარგებლობისა ვერ მოგაცემდა წელში გამაგრებულ მშრომელ გლეხს და საერთო ჩვენს სასოფლო-მეურნეობას. საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთი წესი სასოფლო მეურნეობაში მოსპო ერთხელ და სამუდამოთ. მიწა უკვე აღარაა მემამულეების ხელში, სოფლის მშრომელი გლეხობის ექსპლოატაციის იარაღი.

ის მთელი თავის წიაღით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს განკარგულებაშია და მშრომელი გლეხობის სარგებლობაში. ეს მიზანი უკვე მიღწეულია: მაგრამ იყო ერთი ნაკლი, რასაც უსაღლესმა ხელისუფლებამ მიაქცია სათანადო ყურადღება და გამოსცა დსდგენილება, რომელიც მოთავსებულია ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში. საქართველოს ცაკის ეს დადგენილება გლეხის გულს სცხებს მალამოს. რისთვის? იმისთვის, რომ ის ღრმად რწმუნდება იმაში—უკვე მიღებულ მიწას არავინ არ ჩამოართმევს, ის საშეილიშვილოდ მის საკუთარ განკარგულებაში იქნება.

შეიძლება ვინმემ გეკითხოს: გლეხებს ვინ რას ერჩოდა დღემდე? შეგნებულად თუ შეუგნებლად ადგილობრივ მიწკომებს და საბჭოებს არეკ-დარეკა შეჰქონდათ გლეხის მეურნეობაში. ჩამოართმევდენ ერთს გადასცემდენ მეორეს, მეორეს ჩამოართმევდენ და გადასცემდენ მესამეს. აქ სულ არ იყო დაცული მიწის კოდექსში ნაჩენები ნორმა და საერთოდ ჩვენი პრინციპი მიწის საკითხში. მართალია ასეთ უთავბოლო საქციელს არ ჰქონდა ფართე ხასიათი, მაგრამ საკმარისია ორი სამი ასეთი შემთხვევის დაშვება რომელიმე რაიონში, რონ მთელ მაზრაში მშრომელ გლეხობას გული აუერეოდეს ნაყოფიერ მუშაობაზე. ხშირათ ჩვენ ვხედავთ აქ, ცენტრში, გლეხთას, ჩამოსულებს საჩივრებით სოფლის ხელისუფლებაზე. ისინი ვეკერდს უვლიან მაზრის საადგილ-მამულო კოლეგიას. ეს იწვევს დიდს ხარჯს ერთის მხრივ და მეორე არაა დასაშვები ასეთი მოვლენა, რადგან ეს გარემოება აშორებს მათ სამაზრო ხელისუფლებისაგან. ეს ანარქიმაღალი ბრძოლა ხდებოდა იმდენად, რამდენათ სამაზრო საადგილ-მამულო ორგანოების დადგენილებები არ მოყავდათ სისრულეში ადგილობრივ მუშაკებს სოფლათ და თავის ნებით ახდენდენ განკარგულებას, როგორც მოეპრიანებოდათ, მაშინ როდესაც მათ არ ჰქონდათ ამის უფლება. ცაკის დღეს გამოქვეყნებული დადგენილება საშუალებას აძლევს სამაზრო ხელისუფლებას სამაზრო საადგილ-მამულო კოლეგიის სახით, რომ მან, სრული კანტროლი აწარმოოს და კანონის სიმტკიცე დაიცვას. დადგენილება არავის აძლევს უფლებას ჩაერიოს მიწის საკითხის მოგვარებაში გარდა იმ ორგანოებისა, რომელნიც კოდექსის ძალით არიან აღჭურვილი ამ უფლებით.

ამის შემდეგ მშრომელი სოფლის მეურნე არ იქნება იმის ფიქრში: „ღღემდე არაფერი მიმიღია, ან მიეიღე მაგრამ არ ვიცი შემრჩება თუ არა, ვაი თუ ვაწყენინე მიწკომს ან სოფლის საბჭოს წევრს და ჩამომართვანო“. გლეხი რეფორმით მიღებულ მიწას უყურებდა როგორც სხვისას და არა როგორც საკუთარს. ის უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ **მან მიიღო მიწა არა დროებით, არამედ სამუდამოთ.**

ი. ყვანია.

საბჭოთა ძირითადი ორგანოების გამოცოცხლების საკითხები

2. ცოცხალი კავშირი ხელისუფლების ძირითად ორგანოებთან

იმ აბალი დებულების მიხედვით, რომელიც გამომუშავებულია თემსაბჭოებისათვის სახელმძღვანელოდ, ძირითადი საბჭოთა ორგანოების წინაშე შესაძლებელია ყოველდღიურად მუშაობის დროს წამოიჭრას მთელი რიგი საკითხებისა და მრავალი გაუგებრობანი, რომლებიც მოითხოვენ როგორც ცენტრალურ ორგანოებისაგან, აგრეთვე სამაღასკომებისაგან ახსნა-განმარტებას, შესწორებას და სხვა.

ცენტრი და სამაზრო აღმასკომები ამ მხრივ ვერ განსაზღვრავენ თავიანთ მოვალეობას მარტო ახსნა-განმარტების მიცემით იმ შეკითხვებზე, რომლებსაც მათ წინაშე დაყენებენ ძირითადი ხელისუფლების ორგანოები.

ამჟამად სამაზრო აღმასკომებმა ზედმიწევნით უნდა იცოდენ თემსაბჭოს და აღმასკომის მუშაობის მთელი შინაარსი, უნდა უკვირდებოდნენ ძირითად საბჭოთა აპარატის ყოველნაირ ნაკლს, მის დღევანდელ ტკივილებს დროზედ უწევდენ სათანადო წამლობას.

ამის გამო, წერილობით ხელმძღვანელობას უნდა დაემატოს ცოცხალი კავშირის დაკავება ძირითად საბჭოთა ორგანოებთან. მუდმივ კავშირის განხორციელება ძირითად აპარატთან დღევანდელ პირობებში ეძლევა მთავარი მნიშვნელობა. სამაზრო აღმასკომების სხდომებზე თემაღმასკომების მოხსენებების მოსმენას უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი. ამნაირად ყოველთვის ცხადი იქნება სოფლის სინამდვილე, მისი ცხოვრების უარყოფით მხარეები, მეურნეობის მდგომარეობა და სხვა. ამავე დროს მოხსენებების მოსმენით სამაზრო აღმასკომი გამოაჯარავებს თემაღმასკომის უარყოფით, მტკივან მხარეებს, მის არა სწორ შედგომას ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში და სხვა. ამავე დროს თემაღმასკომის წინაშე პრაქტიკული შესაძლებლობის მიხედვით იქნება დასახული მორიგი ამოცანები, რომლების განსახორციელებლად შემუშავდება გეგმა.

უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ამნაირი მოხსენებები ყოველთვის ობიექტიურად არ გამოხატავენ სოფლის სინამდვილეს.

ცოცხალი კავშირის განხორციელების მეორე მეთოდი არის თემაღმასკომების და საბჭოების მუშაობასთან ადგილობრივად უშუალო გაცნობა და ადგილობრივადვე მათთვის ინსტრუქტორობის გაწევა, ე. ი. ახსნა-განმარტების და დარიგების მიცემა.

პრაქტიკულად ამნაირი ცოცხალი კავშირის განხორციელება შესაძლებელია ორგვარ საშუალებებით:

პირველი—ეს არის სამაზრო აღმასკომებთან საინსტრუქტორო აპარატის დაარსება, ერთი, ან ორი კაცისაგან, რომლებიც მუდმივად იქნიან თემებში და დაათვალიერებენ არა მარტო თემის ცენტრს და იქ მოთავსებულ ხელისუფლების ორგანოების მუშაობას, არამედ შეძლებისდაგვარად დაიკლიან სოფლებსაც.

მეორე—სპეციალურად დაარსებულ სარევიზიო-საინსტრუქტორო კომისიები ცალკე თემების და თემსაბჭოების მუშაობის დასათვალიერებლათ. ამ კომისიებში უნდა შედიოდნენ: სამაზრო აღმასკომის ერთ-ერთი წევრი და აღმასკომის რომელიმე განყოფილებათა წარმომადგენელი (მაგ. მიწად მოქმ. განყ., საფინ. განყ., სამეურ. განყ.) ამნაირი დათვალიერება ყველა თემაღმასკომების მუშაობისა აღნიშნული კომისიების მიერ უნდა ხდებოდეს არა ნაკლებ ერთხელ წელიწადში. ასეთი დათვალიერება და ინსტრუქტორობის გაწევა უფრელად იქნებეს დადებით გავლენას თემაღმასკომებზედ, ვინაიდან ნათელჰყოფს ძირითად საბჭოთა აპარატის გაჭირვებას, მოთხოვნილებას და მისი მუშაობის სხვადასხვა ხარეებს. მეორე მხრივ ეს კომისიები მისცემენ ყველა საჭირბოროტო საკითხებზედ გადამწყვეტ პასუხს და ადგილობრივადვე გახდება შესაძლებელი თემაღმასკომების შეცდომების გამოსწორება.

შემდეგ, პრაქტიკა გვიჩვენებს ჩვენ, რომ იქნება მიზანშეწონილი სამაზრო ... ...

უკანასკნელი ცნობები

ბაქოს იარმუკის გახსნა

ბაქო, 25 აპრილი. დღეს გაიხსნა ბაქოს მეოთხე იარმუკობა

გახსნას დაესწრო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მესხიშვილი, დროშის აწევის წინ გამოვიდა იარმუკის კომიტეტის თავმჯდომარე ბუკრეევი, რომელმაც აღნიშნა იარმუკის მნიშვნელობა სპარსეთის ეაპრებთან დაკავშირების საქმეში; მან აღნიშნა, რომ სამი წინა წლის განმავლობაში ჩვენსა და სპარსეთის ვაპრებს შორის გამომუშავდა ურთიერთისადმი ნდობა. შემდეგ ბუკრეევმა იმედი გამოსთქვა, რომ იარმუკა საკმაოდ გამოაამჟარავებს საბჭოთა მრეწველობის მიღწევებს.

ბუკრეევის სიტყვის გათავებისას დღის 1 საათსა 30 წუთზე აღმართულ იქნა დროშა, რის შემდეგაც იარმუკის მონაწილეები წავიდნენ ბანკეტზე.

საქართველო-სლავიის სიტყვიერი პროტესტი

ვენა, 25 აპრილი. საქართველო-სლავიის ელჩმა სოფიაში—რაკიჩმა ბულგარეთის მთავრობას განუცხადა სიტყვიერი პროტესტი იმ ცნობების გამო, რომელსაც აგრცელებენ ბულგარეთის გაზეთები და აგრეთვე ბულგარეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლების და კერძოდ ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრის რუსევის განცხადებათა გამო, რომელნიც ბრალსა სდებენ საქართველო-სლავიის უკანასკნელ ტერორისტულ აქტებისათვის მხარის დაჭერაში.

საქართველო-სლავიის პროტესტის ზედგავლენით ბულგარეთის მთავრობა სცდილობს შეარბილოს თავისი პირველი განცხადებანი, რომელშიც საბჭოთა კავშირთან ერთად ბრალსა სდებდა საქართველო-სლავიის ტერორისტულ აქტებისათვის მხარის დაჭერაში.

საქართველო-სლავიის ელჩმა ბელგრადში—ვაკარულესკიმ გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ დამოკიდებულება საქართველო-სლავიასა და ბულგარეთს შორის ამჟამად სავსებით ნორმალურია და საქართველო-სლავიის საზღვარზე ბულგარეთი არავითარ ეჭვებს არ აგრავებს გაძლიერებულია მხოლოდ საზღვრების მცველი რაზმი იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელია მომდეს საქართველო-სლავიაში მცხოვრებ ბულგარელი ემიგრანტების შემოკრება.

ტერორი ბულგარეთში

ვენა, 25 აპრილი. ბულგარეთის ოფიციალური ცნობების მიხედვით დაიწყეს მოქმედება საველე სასამართლოებმა.

პირველად მოისმენენ საქმეს, რომელიც აღძრულია მოკლულ მთავრობის დეპუტატ გეორგიევის ძმის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალდება კომუნისტების ბელად მინკოვის დაფარვა.

ჰოლიციის ცნობით, ბულგარეთის კომპარტიის ცეკას წევრმა მინკოვმა თავი მოიკლა დაპატიმრების დროს. მოკლულია აგრეთვე მინკოვის მოადგილე რევოლიუციონურ კომიტეტში.

რომ ბოლშევიკებს კავშირ ჰქონდათ აფეთქებასთან, მთავრობა იუწყება, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელთაგანი ვასკო წინა თვეში დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც, თითქოს, სწავლობდა ყუმბარების გასროლას. იმავე ცნობების მიხედვით ვასკო არის ყოფილი წითელარმიელი, „რომლის გმირობასაც მტად აფასებდა ტროცკი“.

სახელმწიფოს დაცვის კანონის გაძლიერება

ვენა. 25 აპრილი. ბულგარეთის იუსტიციის მინისტრმა სახალხო კრებაში შეიტანა წინადადება სახელმწიფოს დაცვის კანონის გაძლიერების შესახებ.

კანონპროექტის თანახმად შეთქმულებათა მონაწილეთ და დამწყებთ შელით სიკვდილით დასჯა.

15 მაისამდე სოფიაში აკრძალულია ყოველგვარი გასართობები, დაიხურებიან კინოები და თეატრები.

რუმინეთი მეგობრობას უწევს ბულგარეთს

ვენა. 25 აპრილი. ბულგარეთის ამბების გამო შესდგა რუმინეთის მთავრობის თათბირი მთავარ სარდალთა მთავარი შტაბის უფროსისა და „ოხრანკის“ თავმჯდომარის მონაწილეობით.

თათბირმა დაადგინა გაძლიერის დობრუჯასთან დუნაის საზღვრის დაცვის საქმე, მობილიზაცია უყოს დუნაის ფლოტს, მიიღოს უსასტიკესი ზომები ბულგარელ ლტოლვილთა მიერ საზღვრებზე გადასვლის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ გადასცეს ბულგარეთს რუმინეთში მყოფი ბულგარეთის გლეხთა პარტიის ყველა წევრები და კომუნისტები.

რუმინეთის მთავრობამ თანაგრძნობის ნოტა გაუგზავნა ცანკოვს, სადაც იწონებს მთავრობის რეპრესიებს რევოლიუციონური საფრთხის წინააღმდეგ.

რუმინეთის „ოხრანკამ“ გამოაქვეყნა ცნობები, თითქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას სურდა აჯანყების მოწყობა ბესარაბიაში. ბუკოვინაში და სიბირადიეში და რუმინეთის ჯარის გამოლშევიკება.

ბულგარეთის ამბების გამოძახილი

ამერიკის მთავრობა და ბულგარეთის ამბები.

ნიუიორკი, 25 აპრილი. წინააღმდეგ პირველი ცნობებისა, გარეშე საქმეთა სამინისტროს არ დაუფალტია ამერიკის ელჩისათვის ბულგარეთში პროტესტი განეცხადებია ცანკოს მთავრობის ტერორის წინააღმდეგ. მაგრამ ამასთან ერთად, სამინისტრომ განმარტა, რომ დიპლომატებს უკიდურეს შემთხვევაში უფლება აქვთ იმოქმედონ ამ მხრივ თავისი საბოიეტორის განსაკუთრებული ინსტრუქციების გარეშე.

„დამნაშავეა ცანკოვის მთავრობა“.

რომი, 25 აპრილი. ოპოზიციონური გაზეთების მეტი ნაწილი აღნიშნავს, რომ **ბულგარეთის ამბების გამმეზვევი არის არა კომუნისტური, არამედ ცანკოვის მთავრობა.**

იტალიის სოციალდემოკრატიულ აზრზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ბულგარეთში ჩასულ **ინგლისის პარლამენტის წევრების ვეჯვუდის და მაკინდერის განცხადებებმა.**

მილიუკოვის განცხადება

ვარშავა, 24 აპრ. „ეხო ვარშავსკოო“-მ დაბეჭდა თავისი თანამშრომელის საუბარი მილიუკოვთან.

მილიუკოვმა გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ ტრეპოვის განცხადება იმის შესახებ, რომ მონარქისტები მზათ არიან იცნონ რაგის ხელშეკრულება,—არ არის გულწრფელი, ეს სიყალბეა და **გამოწვეულია მხოლოდ რუსეთში მონარქიის აღდგენის საქმეში პოლონეთის ჩაბმის სურვილით.** თვითონ მილიუკოვის აზრით, პოლონეთის აქვს უფლება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს მდინარე ვეგის და სანის ხაზამდე.

ხაბეოთა მთავრობის პრეტენზიებს აღმოსავლეთ გალიციაზე და ბესარაბიაზე მილიუკოვი ეთანხმება უდიოდ და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მცირე ანტანტა ნეიტრალიტეტს იცავს პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების საკითხში.

მეორე მხრით მილიუკოვმა განაცხადა, რომ ის არ არის ფინეთის, ესტონეთის და ლატვიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი.

რუსი ემიგრანტების ცდებს, გამოიწვიონ რუსეთის საქმეებში ჩარევა, მილიუკოვმა უწოდა გამცემლობა.

სალამი კლასიკური სასამართლოს მსხვერპლთ

გერმანიის კომპარტიის ცეკას წერილი გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესზე მისჯილთა მიმართ

ბერლინი. 25 აპრილი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გაუგზავნა წერილი გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესზე გასამართლებულებს. წერილში ნათქვამია, რომ „მილიონი მასები აღტაცებული არიან ბრალდებულთა, განსაკუთრებით, მარგანის და შეიერის გმირული საქციელით კლასიკურ სასამართლოს წინაშე“. მკაცრი განაჩენი—სწერს ცეკა შეგეხებათ არა მარტო თქვენ—იგი წარმოადგენს ბურჟუაზიის გაფთრების და რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაშე შიშის შედეგს. პროლეტარიატს ესმის ეს. დიდ წამებულებთან კარლ ლიბკნეხტთან, როზა ლიუქსემბურგთან და ლევინთან ერთად ჩვენ მუდამ გვემახსოვრება თქვენი გმირობა. იყავით შეურყეველი. ახლოვდება განთავისუფლების ჟამი“.

პროლეტარული მთლიანობის კომიტეტები საფრანგეთში

პარიზი. 24 აპრ. საფრანგეთის პროლეტარული მთლიანობის კომიტეტებმა მიმართეს ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებს წინადადებით გაერთიანდენ შემდეგი პროგრამის განსახორციელებლად: 1 მაისს ყველგან მუშაობის შეწყვეტა, 8 საათიანი სამუშაო დღე, ერთნაირი ხელფასი ერთნაირ შრომისათვის, მუშათა უშიშროების უზრუნველყოფა, პროლეტარულ მანიფესტაციების თავისუფლება, მთელი მუშათა კლასის მთლიანობა და სოლიდარობა და ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

კომპარტია გამოეხმაურა ამ მოწოდებას და განაცხადა, რომ საკუთარ თავზე იწონებს მთლიანობის საქარხნო კომიტეტების მოქმედების გეგმას.

ყვითელი პროფკავშირები პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ

რეაქციონერთა იერიშები

ლონდონი, 24 აპრ. „დეილი ტელეგრაფ“-ი მოწმინავე წერილში გერმანიის „საგანგებო კომისიის“ საქმის შესახებ გამოტანილ განაჩენს უპირისპირებს ბულგარეთის ამბებს და სცდილობს გამოიყენოს ეს ფაქტები არგუმენტებად ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ. გაზეთი აცხადებს, რომ ინგლისის „საგანგებო კომისიის“ საქმის შესახებ გამოტანილ განაჩენს უპირისპირებს ბულგარეთის ამბებს და სცდილობს გამოიყენოს ეს ფაქტები არგუმენტებად ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ. გაზეთი აცხადებს, რომ ინგლისის პროფკავშირების მოქმედებამ მუშათა არა კომუნისტურ ორგანიზაციებშიც კი გააძლიერა ლტოლვა პროფმოძრაობის მთლიანობისაკენ.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სესიის შეწყვეტა

პარიზი, 24 აპრილი. დეპუტატთა პალატის სესია შეწყდა 25 მაისამდე.

ვანდერველდემ უარი სთქვა მთავრობის შედგენაზე

პარიზი, 24 აპრილი, ჰავასის საგენტოს ცნობით, ვანდერველდემ ოფიციალურად აცნობა ბელგიის მეფეს, რომ ის უარს ამბობს კაბინეტის შედგენაზე.

პალესტინაში

ბალფურის დაბრუნება.

ლონდონი, 24 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობილებია, რომ პალესტინიდან დაბრუნებულ ლორდ ბალფურს სადგურ [illegible]ზე შეხვდენ დიდებული ლონდონელი ებრაელები, ბალფურმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ის პალესტინის მომავალს გაცილებით უფრო დამშვიდებულად უცქერის, ვიდრე ოდესმე. ბალფურის სიტყვით, პალესტინის ებრაელებს სავსებით შენარჩუნული აქვთ არაბებთან თანამშრომლობის იუსტიციბერობა.

ლონდონი, 25 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ახალშენების მინისტრმა ამერიმ პასუხი გასცა არაბების დეპუტატაციას და განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ დაწვრილებით განიხილა და მიიღო სახეში პალესტინის არაბთა ინტერესები, სანამ მნიშვნელობა მიეცემოდა ბალფურის დეკლარაციას. ამერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დეკლარაცია მოწონებული იყო ინგლისის წინანდელი მთავრობების მიერ და გახუცხადა დეპუტაციას, რომ არაბების შიში გადამტკიცებულია და რომ პალესტინის ებრაელი მოსახლეობა, მიუხედავად იმიგრაციისა, ვერ გადაკარებს რიცხვით არაბებს.

ამერიმ მოიყვანა შემდეგი ციფრები: 1920 წელს პალესტინის მოსახლეობა უდრიდა 673,000 კაცს, აქედან ებრაელები შადგენდენ 55,000 კაცს; წელს პალესტინაში 806,000 მცხოვრებია, აქედან 108,000 ებრაელია. დასასრულ ამერიმ განაცხადა, რომ პალესტინის არაბები სავსებით სარგებლობენ ქვეყნის ეკონომიური აღორძინების შედეგებით.

სხვა და სხვა ამბები

— **სპარსეთში**. სპარსეთის მთავრობის განკარგულებით დაეპატიმრეს შეიხი ხეიზალი, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ აჯანყება მოაწყო თეირანის მთავრობის წინააღმდეგ. ხეიზალთან ერთად დაპატიმრებულია მისი შვილი აჯემი. დაპატიმრებულნი თეირანში გაგზავნეს.

— **ყვითლები ფაშისტებს ეხმარებიან**. იტალიის რეფორმისტული პროფკავშირების საბჭომ მოითხოვა კომუნისტების მიერ შედგენილი გლეხთა კავშირის დაშლა. კომუნისტები იწვევენ გლეხთა კავშირების კონფერენციას.

— **არ მოეწონათ**. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პრავო ლიდუ“ იდაშვრებს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წინააღმდეგ უკანასკნელის მიერ საბჭოთა მეხუთე წითელ დივიზიაზე შეფობის აღების გამო (ამ დივიზიამ სასტიკი ზიანი მიაყენა ჩეხო-სლოვაკიის ლეგიონერებს ციმბირში, როცა ისინი თეთრგვარდიელებს ეხმარებოდნენ).

— **ჩეხო-სლოვაკიის „დემოკრატიულ წალკოტში“**. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანოში „პრავო ლიდუ“-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „იქვსი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩეხო-სლოვაკიაში 23-ჯერ მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა მუშებზე. მოკლეს 40 მუშა დასჭრეს 128. მუშებზე უკანასკნელი შეიარაღებული თავდასხმის დროს მოკლეს სამი თვის ბავშვი“.

— **„ესპანეთი შეცდა“**. ესპანეთის დიქტატორმა ფაშისტმა გენერალმა პრიმო-დე-რივერამ გაზ. „ეხო-დე-პარი“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს აღიარა, რომ ესპანეთი, რომელსაც მაროკოს ერთბაშათ დამორჩილების იმედი ჰქონდა, შეცდა.

პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად

დღესასწაულის ჩატარების წესი ტფილისში

საკრებულო წარმოდგენილ პროგრამით ითვალისწინებს: 1. ეკონომიურ-კულტურული ინფორმაციონ სკოლების კურს დამთავრებულთა საზეიმო გამოშვება.

IV. პროლეტკულტს წინადადება ეძლევა აქტიური მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულებში.

V. ორ და სამ მაისს საზეიმო კონცერტები მიეგზავნებიან შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში.

VI. პირველ მაისს ფილარმონიასა ბრძანებია კავკასიის წითელდროშოვან არმიის მიმართ, მობილიზებულ წითელარმიელების მიერ ფიცის მიღება მუშების წარმომადგენლების მონაწილეობით (თითეული რაიონიდან 100 დელეგატი).

ფიცის მიღების შემდეგ წითელარმიელები მიემართენიან დღესასწაულის ადგილებისაკენ.

VII. სამ მაისს ეწყობა ბაქოში დღესასწაულთა სპეციალური პროგრამით, რომელსაც იმუშავებს განათლების სახალხო კომისარიატი სახალხო განათლების განყოფილების და პარტიის თბილისის კომეტიტის, კავშირის და ახალგაზრდა პიონერთა წარმომადგენლებთან ერთად.

VIII. პასუხისმგებლობა დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის ეკისრება ცენტრალურ კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამ. ამბ. რახმანი, ჭელიძე, ორთოფენი, დეკორიანოვი, ბუნიკაშვილი, სტეგკაცდელაკი, მარიამ ორახელაშვილი და ვლ. აბაშიძე.

ხ. კ. პ. (ბ) **თბილისის კომიტეტი**

გროზნო-ფოთის ნავთსადენი

ფოთი. 25 აპრილი. შესდგა „გროზნეფტ“-ის კომისიის თათბირი ნავთსადგურთა განყოფილების წარმომადგენელთან და ნავთსადგურის ადგილობრივ სამმართველოსთან ერთად. თათბირმა ჯამი გაუკეთა ნავთსადგურის დათვალიერების შედეგებს.

ინჟინერმა **მარტინოვმა** დაახასიათა ნავთსადგური, როგორც საკმაოდ გამოსადეგი გროზნოს ნავთის ბაზის მოსაწყობათ. მან სთქვა: „ჩემს ხელთ არსებულ ცნობების მიხედვით, მე იმ დასკვნამდე მივდიარ, რომ ფოთის ნავთსადგური იმდენად არის მოწყობილი, რომ თავისუფლად შეიძლება წლიურად 120 მილიონი ფუთი ნავთის გაბნდეა. ჩემი ანგარიშით, სათანადო ტეხნიკურ მოწყობილობის გამზადებას არ დასჭირდება 800,000 მანეთზე მეტი. თუ წლიური ექსპორტი გადიდდა 250 მილიონ ფუთამდე წლიურად, რაც შესაძლებელია ბაქოდან ფოთამდე ნავთსადენის გაყვანის შემდეგ, საჭირო იქნება ფოთში ახალი აუზის მოწყობა 8 შენაკეთი, რომლის ღირებულება უდრის დაახლოვებით 3 ნახ. მილ. მანეთი“.

კომისიის თავმჯდომარემ **აკერმანმა** თავის სამოკლო სიტყვაში განაცხადა: „შავი ზღვის ყველა აღმოსავლეთ ნავთს ადგურებს დათვალიერების შემდეგ, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ფოთში გავაკეთებ ყველა პირობები, რომელიც აუცილებელია ნავთის საწმენდი ქარხნის მოსაწყობად და ნავთის ექსპორტის ერთიანი ბაზის შესაქმნელად, რაც არ შეიძლება ითქვას ტუაფსეს და ნოვოროსიისკის ნავთსადგურებზე. პიროველში ადგილი არ მოიპოვება ქარხნებისათვის, მეორეში—არ არის ქარხნისათვის აუცილებელი მარილიანი წყალის საკმარ რაოდენობა, არც საკმარ ადგილი ქარხნის მოსაყობად“.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა მაისისათვის
მაისის განმავლობაში ხელისმოწერილობა დაურიგდებათ:
I. ჟურნალი „ჩერალდანი“—ოთხი ნომერი (№ 9 და 10)
II. „ „მეცნიერება და ტეხნიკა“ ორი ნომ. (№ 9 ტ 10)

მეტ საფანაშეუძლებელია*)

X

პოლიტიკურად ასე თუ ისე განვითარებულ ხალხში, მაგალითად ისეთში, როგორც ქართველი ხალხია, აკრძალულ წიგნებსა და ფურცლებს მეტის მეტად დიდი გავლენა აქვს. ისე არაფერი არ იტაცებს ასეთი ხალხის გრძნობა-გონებას, როგორც აკრძალული აზრი, აკრძალული ლიტერატურული ნაწარმოები. ასეთი ნაწარმოები იქნება ასში ერთსაც არ ენახოს, ათასში ერთსაც არ წაიკითხოს იგი, ასეთი წიგნი მაინც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ხალხში, ის ყველას მოსწონს, ყველა მასზე ლაპარაკობს, ყველა მას უჯერეს; მასში გამოთქმული აზრი ყველას თავის საკუთარ ნაფიქრად აღიქვამ. არაგინ არ აკრძალავს ეურადღებას ასეთი ნაწარმოების ღირსება-ნაკლულოვანობას არგუმენტებისა და მეცნიერული დასაბუთების მხრით. და თუ ასეთ ნაწარმოებს რომელიმე გამოჩენილი პიროვნების სახელიც აწერია, მაშინ ის სრულიად უძლეველია და წინ და წინ შეიძლება ითქვას, რომ მისი დარღვევა თეორიმ ვერ ბედავ.

რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ ასეთ ნაწარმოებს მკითხველების დიდი უმეტესობა თვალითაც ვერ ხედავენ, ის ყველას თვალში რაღაც საიდუმლოების შარავანდედით არის მოცული და ყოველივე საიდუმლო, ყოველივე ის, რის დანახვაც ადამიანს არ ეხერხება, მეტ ინტერესს იწვევს, მას უფრო მეტი ხალისითა და ნდობით ეტანება ადამიანი.

სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს ამის მიზეზი, რომ ნ. ჭორდანიას „ბრძოლის საკითხები“, რომელიც 1923 წელს გამოსცა ავტორმა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში მაინც ერთ დროს თანაგრძნობას იწვევდა. რა ვუყოთ, რომ ეს ბროშიურა ამ საზოგადოების 99 პრც. თვალითაც არ დაენახა; სამაგიეროდ ყურებში წაჩურჩულებით იცნობდენ მას და ეს კი, როგორც ვთქვით, საუკეთესო საშუალებაა ამა თუ იმ აკრძალული ნაწარმოების სახელის გასადიდებლად, ამა თუ იმ აკრძალული აზრის უფრო ფართეთ გასავრცელებლად.

ასეთი ყურში წაჩურჩულება საჯაროთ წაკითხულ ლექციებზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ის აძლევს მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებს და მით საუკეთესოდ სწვდება თავის მიზანს.

მე რომ ვინმე მკითხავდეს, მე რომ ხელისუფალი ვიყო, არც ერთ წიგნს არ ავკრძალავდი, პირიქით, ასეთ წიგნებს სულ მუქთათ დავურიგებდი მკითხველებს და სრული დარწმუნებული ვარ, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა ასეთი ლიტერატურულ ნაწარმოების გასაბათილებლად, მისი სრული ანულაციისათვის.

მე სულაც არ ეხუმრობ. თუ ეს ასე მომხდარიყო, თუ ნ. ჭორდანიას „ბრძოლის საკითხებს“ მკითხველი საზოგადოების ფართო მასა თავისუფლად გასცნობდა, დარწმუნებული ვარ, რომ ავტორი მიიღებდა სრულიად წინააღმდეგ შედეგს. ვიდრე ის მიზნად ისახავდა.

მაინც რა მიზანს ისახავდა ავტორი „ბრძოლის საკითხებში“?

როგორც თვით ბროშიურის სათაურიდან სჩანს, მისი მიზანი იყო და არის კომუნისტებმ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, მკითხველებში ბრძოლის ცეცხლის გაღვივება, მებრძოლების დარაზმვა.

როგორ ცდილობს ის ამ მიზანის განხორციელებას? ავტორი გამოცდილი პოლიტიკური პოლემიკოსი. მან ჩინებულად იცის, რომ ღელვა მარტო გრძნობის სიმების აკიდერებით, მარტო „აღსდეგ გმირთ გმირო, ნუ გძინავსო“ ყიყინით ვერაფერს ვერ გამოიყვანს ბრძოლის ველზე. მან კარგად იცის, რომ დღეს ნიკოლოზის დროა ეი არ არის, რომ ადამიანს უბრძანო შეტევაზე გადადგა და რომ მან უკრიტიკოთ, სიტყვის შეუბრუნებელად დაგიჯეროს. დღეს ჯარისკაცი, რომელიც თავისი მდგომარეობით იძულებულია თავის კომანდირს დაუჯეროს, ათასჯერ შეგეკითხებათ: რა, რომ უნდა ებრძოლო, ვის წინააღმდეგ ებრძოლო, ღირს თუ არა საქმე ამათ, რომ სისხლი დაეღვრეთ და სხვ. ნ. ჭორდანიამ ჩინებულად იცის ახლანდელ მებრძოლთა ფსიქოლოგია და ის ცდილობს მათ აუსაბუთოს თავისი აზრი, ცდილობს დაუმტკიცოს ყველა ამათ, ვისაც საბრძოლველად იწვევენ, რომ მათი სიცოცხლე საფრთხეშია, რომ ისინი უეჭველად მოისპობიან, დაიღუპებიან, თუ მათ სისხლი არ დაღვრეს, თუ ხმალი ჭარაჭაში ჩაგეს და თავის მდგომარეობას შეეურგდენ. ის პირდაპირ ეუბნება ქართველ ერს იბრძოლოს, და თუნდაც სიცოცხლის ფასით მოშორდეს რუსეთს და პირი ევროპისაკენ ქნას.

ეკითხებით: რატომ? რათ უნდა ვიყოთ ევროპის ორიენტაციის მომხრე? ჩვენ ხომ ჩვენი საკუთარი ქეყანა გვაქვს, ჩვენ გვინდა ჩვენი საკუთარი სახელმწიფო გვქონდეს, ჩვენ გვინდა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდოს“. და თუ კავშირზეა საქმე, რატომ უნდა ვთქვათ უარი რუსეთთან კავშირზე? რატომ, რა საბუთის ძალით უნდა ვკრათ წიხლი რუსეთს და ევროპასთან კავშირის მოსაპოვებლად სისხლი დავღვარეთ?

ნოე ჟორდანია ცდილობს დასაბუთებული პასუხი მოგვცეს ამ კითხვებზე. აბა გავეცნოთ ამ საბუთებს.

ს თი **პირველი**:

„ამაერ-კავკასიის ბუნებრივი გზები მიდიან დასავლეთისაკენ და არა სოფდეს ჩრდილოეთისაკენ“ (იხ. „ბრძ. საკითხები“, გვ. 17).

საბუთი მეორე:

„საქართველოს დასავლეთს **უნათესავებს** ორი ობიექტიური პირობა დანამდერიოვე ევროპა წარმოიშვა ფეოდალური ურთიერთობისაგან. თანამედროვე საქართველო წარმოიშვა ფეოდალური წყობილებისაგან. რუსეთში კი არ იყო ფეოდალური წყობილება. მაშასადამე, ძირითადი თვისება, განვითარების აკეანი ჩვენი და ევროპის ერთი და იგივე ხასიათისაა, ორივეს საერთო სათავე აქვს“. (idid. 23).

საბუთი მესამე:

„მეორე ჩვენი საერთო თვისება ევროპასთან, რომელიც უნდა ჩაითვალოს! საფუძვლად ფეოდალური სისტემის აღორძინებისა, არის ეკონომიური ხასიათის... ევროპის ურთიერთობა თავიდანვე, ეს იგი ძველი საბერძნეთიდანვე, დაეყრდნო მიწის კერძო საკუთრებას, ხოლო ახალი ძლიერება აშენდა... მიწის სახელმწიფო საკუთრებაზე... ამ ორი სისტემას შორის ჩვენ ვეკუთვნით ევროპის, მიმდინარეობას, ხოლო რუსეთი—აზიისას... **საქართველო თავიდანვე, მისი ისტორიის დაწყებიდანვე** (ხაზი ყოველგან ჩვენია) **იდგა და დარჩა კერძო საკუთრების საფუძველზე და მასზე აეგო მთელი მისი მსგლელობა**“. (ibid 23—24).

ასეთია ის „საბუთები“, რომლითაც ნ. ჭორდანია ცდილობს დაუმტკიცოს მკითხველებს, რომ საქართველოს რუსეთთან დაახლოება მისი სიკვდილის მომასწავებელია.

ნოე ჟორდანია ამავე „ბრძოლის საკითხებში“ მისტიკაზმის წინააღმდეგ გამოდის: „რუსეთის ხალხი ჯერ კიდევ არ გაშორებია რელიგიურ ხანას... ის კიდევ მისტიკაზმით არის გაჟღენთილია“. (ibid 6).

შეიძლება ეს მართალიც იყოს მაგრამ ეს გარემოება კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი ხელს უშლიდეს რუსეთის ხალხის რევოლიუციონერობას. ამ ხალხმა ამ ნიჩრთ უკვე დაიჭირა გამოცდა და ამაზე სიტყვის გაგრძელება არა ღირს. მხოლოდ პატივცემულ ავტორს იმას მოვაგონებთ, რომ ასეთი და კიდევ მეტი მისტიკაზმით იყო გაჟღენთილი ინგლისის ხალხი, როცა ის ტარანენს ხოცავდა და დიდ რევოლიუციას ახდენდა. ნ. ჭორდანიას აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ ინგლისს ლეველერებისა და სხვა მართლაც **მისტიკაზმით გაჟღენთილი** ჯგუფების როლი სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა იმავე რევოლიუციაში. ინგლისის დიდი რევოლიუციის ისტორია სულ წინააღმდეგს გვასწავლის...

მაგრამ ამჟამად ჩვენ აქ ეს არ გვაინტერესებს. ახლა ჩვენ უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია საკითხი თუ რამდენად არის მისტიკაზმით გაჟღენთილი თვით ამ „ბრძოლის საკითხების“ ავტორი. სიტყვა რომ მეტის მეტად არ გაგვიგრძელდეს აქვე ვიტყვით, რომ რუსეთის უდიდესი რევოლიუციის შემდეგ ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ შეიძლებოდა ასეთი მისტიკაზმით დაწერილი წიგნის დაწერა, როგორც „ბრძოლის საკითხებია“. ამ წიგნის მთელი არგუმენტაცია პირწავარდნილი მისტიკაა. და ეს მით უფრო საკვირველია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს **არა** პოეტურ ნაწარმოებთან, არა ჯაკომო ლეოპარდის თხზულებებთან, არამედ ცნობილი პუბლიცისტის ნაწარმოებთან, რომელიც მიზნად ისახავს არა ზეცას, არა ზე-ქვეყნიურ მიზნებს, უდღრესად მიწიერსა და რევოლიუციონერული „ბრძოლის საკითხებს“.

ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნდა, რომ ნ. ჭორდანიამ, რომელსაც ბოლშევიკებთან დაახლოების ეშინოდა, წაპოაყენა დებულება: არც მარჯვენით, არც მარცხნით პირდაპირ ევროპისაკენ! მაგრამ მოხდა ის, რაც ჩვენ მაშინ არ გვინდოდა. რუსეთი უკვე შემოვიდა საქართველოში აგერ მეხუთე წელიწადია, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა და ნ. ჭორდანია მთელის თავის ძალ-ღონით შესდგომია თავისი ძველი, უკვე გაუქმებული და ცხოვრების მიერ უარყოფილი ლოზუნგის დასასაბუთებლად მასალების ძებნას. ამაში, ალბათ, მას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ახლა საზღვარგარეთ მას უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს...

მაგრამ,—დახეთ საკვირველებას!—ნოე ჟორდანია, ცნობილი პუბლიცისტი და ცნობილი მარქსისტი, რომელმაც აქ, თავის სამშობლოშ, მარქსისტების არა ერთი თაობა აღზარდა, ისე გაუტაცია გრძნობებს, რომ სულ ერთიანად გადავარდნილა მისტიკაზმის ორეგვში, ჩვენ ზემოდ დავინახეთ თუ რა საბუთები მოყავს მას თავისი აზრის დასამტკიცებლად.

რამდენად მოცლილი უნდა იყოს მწერალი, რომ ასეთი საბუთების ძებნაზე დრო დაკარგოს! აბა ერთი მიბრძანეთ, რითი სჯობს ცნობილი მარქსისტი ნოე ჟორდანიას ეს „საბუთები“ იმ საბუთებს, რომლის ძალითაც ქართველი მეფეების კარის მწერლები და მეისტორიეები ამ მეფეებს მეფე დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლობათ აცხადებდენ? რითი სჯობს ცნობილი მარქსისტი ნ. ჟორდანიას ეს „საბუთები“ იმ თქმულებას, რომელიც რუსეთში შეიქმნა მე-XVI საუკუნეში და რომელიც რუსეთის დიდი მთავრების ჩამომავლობის ისტორიას იწყებს პირდაპირ რომის კეისრიდან? „როცა ავგუსტ კეისარი, მთელი სამყაროს მბრძანებელი. სიბერის გამო დასუსტდა, მან მთელი სამფლობელო გაუნაწილა თავის ძმებსა და ნათესავებს. თავის ერთ ძმას პრუსს უბოძა სამეფო მდ. ვისლაზე. აი ამ პრუსის ჩამომაკლობა (ეთოოთხმეტე მუხლი) იყო დიდი ხელმწიფე რურიკი, რომელიდანაც წარმოდგენ რუსეთის დიდი მთავრებიო“. ასე გადმოგვცემს პროფესორი კლუზეევსკი (II, 53) ამ თქმულების მოკლე შინაარსს. ეს ისტორიულად ადვილი გასაგებია. როცა თვითმპყრობელობის იდეა იბადება და თანდათან ფეხს იკიდებს, ეს პატარ-პატარა თეთომპყრობელები რაც ძალი და ღონე აქვთ ცდილობენ თავისი წინაპრები შეამკონ რამე არა ჩეულებრივი, საღმრთო შარავანდედით, დაანახვონ ხალხს, რომ ისინი უბრალო მომაკვდავები კი არ არიან, ისინი ზე კაცის, ან პირდაპირ ღმერთის შვილები. ძალა სისხლი და ხორცი, მისი ჯიშისა და მოდგმის არიან, რომის კეისარი ღმერთ-კაცი **ენეას** ჩამომავლად აცხადებს თავის თავს. გამოდის პოეტი, რომელიც უკვდავ პოემა **ენეიდაში** ამტკიცებს ამის სინამდვილეს. რუსეთის დიდი მთავრები—ამ რომის კეისრის ჩამომაკლებათ აცხადებენ თავს, საქართველოს მეფეები დავით წინასწარმეტყველისა და სხვები კიდევ სხვათ.

ეს ასე იყო ძველად და მაშინაც ასეთი გულუბრყვილო ლეგენდები სიცილს გვრიდა ცოტად თუ ბევრად კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებს. და აბა როგორ არ უნდა გაგვკვირდეს, როცა დღეს, მეოცე საუკუნეში, როცა ადამიანმა ღმერთები ძირს ჩამოაგდო და მის მაგიერად თვითონ დაეპატრონა როგორც მიწას ისე ზეცას, გაჩდის მწერალი, ისიც ცნობილი მარქსისტი მწერალი და თხზავს ლეგენდებს საქართველოსა და ევროპის ნათესავურ კავშირის შესახებ: საქართველომ ევროპის ორიენტაცია უნდა მიიღოს, რადგანაც საქართველო და ევროპა ერთი ცოსშისაგან არიან

პარტიული ცხოვრება

ჩვენი კომუჯრედების სხდომების შესახებ

ჩვენი კომუჯრედების სხდომებს აქვიქ ერთი თვალსაჩინო ნაკლი ახასიათებს, რომლის გამოსწორებას სერიოზული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. სხდომების 3 საათზე და ზოგჯერ კიდეც უფრო ხანგრძლივათ გაგრძელება, ეფექრობთ, არ შეეფარდება ჩვენი პარტიის უკანასკნელ ხანის ლოზუნგს „მეტი ყურადღება პარტიული მუშაობის ჯანმრთელობას.“

მეორე გარემოება, რომელსაც ასევე სერიოზული ყურადღება ესაჭიროება არის მომხსენებლის შერჩევა, რომელსაც შეუძლია მოკლე დროის განმავლობაში სხდომას გააცნოს საკითხი და ამავე დროს შეეხოს საკითხის არსებით მხარეებს.

ერთ-ერთ ძლიერ კომუჯრედში ამას წინად საკმაოდ მომ ადებულმა ამხანაგმა წინასწარ განაცხადა, რომ მისი მოხსენება სულ 30 წუთს გაგრძელდებაო. სინამდვილეში საათნახევარი წაართვა სხდომას და საკითხი კიდევ არ იყო ყოველ მხრივ გაშუქებული. ანდა იმავე უჯრედში იყო ასეთი შემთხვევაც. ერთი ახალგაზრდა ამხანაგი, რომელიც ყოველთვის მოითხოვს უმცროს ამხანაგებსაც მიეცეს უფლება მოხსენების გაკეთების, რომ მათაც აქტიობა გამოიჩინონ და ერთგვარი დახელოვნება მიიღონ თავის მოხსენებაში, რომელიც კარგა დიდ ხანს გაგრძელდა, იმდენად შორიდან მიუდგა საკითხს, რომ მისი ამოწუ ვა იმ სხდომაზე თითქმის შეუძლებელი იყო და პრეზიდიუმა საჭიროდ მიიჩნია დამატებითი მომხსენებელი დაენიშნა იმავე სხდომა ზემოხსენების გასაკეთებლად.

ცხადია, სასურველია ახალგაზრდობას აქტიობის გამოჩენა-მისი დახელოვნება, მაგრამ სანამ ამხანაგი რომელიმე მოხსენების გაკეთებას შეუდგებოდეს საჭიროა მან წინასწარ გაიფიქროს ის პირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი მოხსენება მოკლე დროში უნდა აღინიშნოს უმთავრესი საყურადღებო მონენტები, ვინაიდან უჯრედის წევრებს არც შეუძლიათ და არც სასურველია დავავალოთ ვისიმეს ვარჯიშობას უხელმძღვანელოს.

მეორეს მხრივ მოკლე მოხსენებებს ის დადებითი თვისებაც აქვთ, რომ მეტს ხალისით და ყურადღებით უსმენენ ამხანაგები და კამათი ხშირად უფრო ცხოველია და არსებითია. თორემ არის შემთხვევები გრძელი მოხსენების დროს — მომხსენებელს შემდეგ თხოვენ გააშუქოს ესა თუ ის საკითხი ან ესაყვედურებიან ეს-თუ ის საკითხი არ მოიხსენეო, როცა სიმამდვილეში მომხსენებელმა თავის გრძელ მოხსენებაში ყოველივე ეს აღნიშნა, მაგრამ მოხსენების სიდიდემ—მსმენელთა ყურადღება დაამძიმა და ზოგი რამ კიდეც გამორჩა.

მოჰხსენებლების შერჩევა ერთის მხრივ ხელს შეუწყობს საკითხის უფრო კარგად გარკვევას და მეორეს მხრივ მთელი დღის განმავლობაში დაქანცული პარტიულ ამხანაგების ჯანმრთელობასაც არ დაიზიანებს რადგან ჩვენ არ გვეკნება საქმე სხდომების უზომოდ გაჭიანურების ფაქტთან, პირიქით, სხდომები უფრო მოკლე დროში დაიხურება.

—ი.—ე.

ეკონომიური ცხოვრება

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა წარმოკავშირს გაუხსნა კრედიტი 34.500 მანეთის რაოდენობით ღვინის დასამზადებელ-დასაწინდებელ ოპერაციების საწარმოებლათ ორი თვის ვადით 11 პროცენტიანი სარგებლით.

იმავე ბანკმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა კრედიტი 150.500 მანეთის რაოდენობით აბრეშუმის თესლის შესაძენათ. ამ სესხის გაცემა გადადებულია მესამე კვარტალისათვის და იწარმოებს ნაწილ-ნაწილათ.

მესამე კვარტალის გეგმის მიხედვით კრედიტი გაეხსნა აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკს 50 ათასი მანეთის რაოდენობით. აქედან 30 ათასი მანეთი უნდა მოხმარდეს მანქანების შეძენას, 20 ათასი მუშა-საქონლის შეძენას.

მეტრული რეფორმა

ამჟამად საზომ ერთეულების დამამზადებელ ა | კ. მთავარ კომისიის მიერ დამზადებულია გეგმით გათვალისწინებული საზომი ერთეულების მთელი რაოდენობა და შესრულებულია აგრეთვე დანარჩენი მოსამზადებელი მუშაობა. საზომ ერთეულების მთავარმა კომისიამ საგეგმო კომისიაში წარადგინა ა | კავკასიაში რეფორმის ჩატარების პროექტი 1925 წლის განმავლობაში. ამ პროექტის მიხედვით ამიერ-კავკასიაში რეფორმა ჩატარდება ერთი წლით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ა | კავკასიასთან ერთად რეფორმას ჩაატარებენ იმავე დროის განმავლობაში ლენინგრადი და მოსკოვი. საგეგმო კომისიამ პროექტი დასამტკიცებლად გაუგზავნა უმაღ. ეკონომიურ საბჭოს.

ტფილისის კომუნალური მეუნეობა

სახლების დაცვა

თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ, როგორც კერძო, ისე საბჭოთა სახლების ნგრევისაგან დაცვის მიზნით შეიმუშავა შემდეგი პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარდგენილია აღმასკომის პრეზიდიუმში.

ამ პროექტის მიხედვით, ყველა სახლმფლობელობაში, განურჩევლათ იმისა, თუ ვის ეკუთვნის ის, უნდა შედგეს მდგმურების მიერ სპეციალური კომისია მათ მიერ დაქირავლ შენობის ტეხნიკური მდგომარეობის გამოსარკვევათ, რომლის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს სათანადო აქტი სახლისთვის აუცილებელი საჭირო რემონტის აღნუსხვით. ასეთი აქტი შედგენილი უნდა იქნეს სამ ცალათ, რომელთაგან: ერთს თვით კომისია იტოვებს, მეორე ეგზავნება აღმასკომს, ხოლო მესამე ხელწერილ ქვეშ ეძლევა სასლის მფლობელს, რომელიც მოვალეა შეუდგეს, თანახმათ აქტისა, სახლის რემონტს არა უგვიანესს ერთი თვის განმავლობაში დღიდან მის მიერ აქტის ჩაბარებისა.

ზემოხსენებულ კომისიას ირჩევს მდგმურთა საბოგადო კრება. იმ შემთხვევაში თუ რაღა მიზეზისა გამო, კომისია არ შესდგება—სახლმფლობელს ექნება უფლება ორ ერთი ეროვნების ადამიანისაგან ანალოგიური კომისია ააგოს.

ფროფკავშირებში

პროფკავშირთა საბჭოში

საქმიანი დახმარება სტუდენტებს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ პრინციპიალურათ საკითხი სცნო უფასო საექიმო დახმარების გაწევა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთათვის.

პროფსაბჭო სთხოვს განათლების სახალხო კომისარიატს შეიტანოს დამზღვევ სალაროში სტიპენდიანტ სტუდენტთა დასაზღვევი ანარიცხება.

ამასთანავე პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მან უფასოთ წამლობის უფლება გაავრცელოს უმაღლეს სასწავლებლების ყველა სტუდენტებზე და მუშათა ფაკულტეტების ყველა მსმენელებზე, რომლებსაც უფასოთ წამლობის უფლება უნდა მიეცეს ჯანსახკომის ყველა სამკურნალო დაწესებულებებსა და გამათლების სახალხო კომისარიატის ყველა კლინიკებში.

წამლობის რიგის დროს სტუდენტები და მუშათა ფაკულტეტების მმენელები გათანასწორებული უნდა იქნენ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებთან.

იურიდიული დახმარების გაძლიერება.

მუშა-მოსამსახურეთათვის იურიდიული დახმარების გაძლიერების მიზნით, როგორც თბილისში, ისე ადგილებზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ საჭიროთ სცნო მესამე იურისტის მოწვევა პროფსაბჭოსთან არსებული იურიდიულ ბიუროში.

ნაციონალურ უმცირესობათა კლუბი

პროფსაბჭოს პრინციპიალურათ საჭიროთ სცნო ნაციონალურ უმცირესობათა კლუბის არსებობა.

პროფსაბჭომ კულტგანყოფილებას დავალა ამ კლუბს სუფსიდიის სახით ყოველთვიურათ მისცეს 150 მანეთი. ამასთანავე კულტგანყოფილებამ უნდა შეიმუშავოს ნაციონალურ უმცირესობათა კლუბის დებულება, კლუბში მუშაობის გეგმა და სათანადო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ამ კლუბს.

საკლუბო მუშაკთა კურსები.

პროფსაბჭომ საჭიროთ სცნო საკლუბო მუშაკთა კურსების დაარსება რესპუბლიკანური მასშტაბით.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მესამე ყრილობა

მოსთხოვ სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე ამხ. **ნიკო კიკნაძის** თავმჯდომარეობით.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

(მომხსენებელი ამხ. ყარაულოვი).

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით უნდა გამოცხადებულიყო 59 დელეგატი, აქედან გამოცხადდა 58—ერთი დელეგატი არ ჩამოსულა პროვინციიდან.

ყრილობაზე სათათბირო ხმით სარგებლობს 36 დელეგატი, მათ შორის 29 მუშაკორი (თბილისიდან სათათბირო ხმით არჩეული იყო 44 მუშაკორი, მაგრამ მათ რიცხვიდან გამოცხადდა მხოლოდ 29).

დელეგატებიდან 53 მამაკაცი, ე. ი. 91,4 პროც. და 5 ქალი—8,6 პროც.

ეროვნების მიხედვით ყრილობის შემადგენლობა ასეთია: ქართველები 23—39,7 პროც., რუსები—14—24,1 პროც., სომხები—11—18,9 პროც. და თურქები—1. სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები—15, 4 პროც.

ყრილობის დელეგატებიდან 22 კომუნისტია—37,9 პროც., 5 კომავშირელი და 31 უპარტიო—53,5 პროც.

მათ შორის უმაღლესი განათლება აქვს 8 კაცს—13.8 პროც., საშუალო—34, დაბალი—10 და შინაური—6

მოხსენებები ადგილებიდან.

ამხ. **პავჩინსკი** (აჯარისტანი) აღნიშნავს, რომ 1924 წლამდი აჯარისტანს სექციას უფრო ცოცხალი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ის თანდათან საწარმოო სექციათ გადაიქცა; სექციათა ჩამუშავებ აყვენ ბეჭდვითი სიტყვის დარგში მომუშავე ყველა ამხანაგები და სექციის წევრთა რიცხვი 80 ადამიანამდე გაიზარდა 57-დე.

ამხ. პიესკოშუილი (ბერძნული „კომუნისტი“-ს წარმომადგენელი) ეხება ბათომის ბერძნული გაზეთის „კომუნისტი“-ს მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ამ გაზეთს არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული, ის დახმარებას არ იღებს, ამასთანავე დაცული არ არის რედაქციის თანამშრომლების შრომის პირობები, ისინი შეებულებით არ სარგებლობენ, არ არის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება და სხვა. რედაქციის შტატ მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, რადგან არ არის მოგვარებული ურთიერთობა პოლიგრაფიულ განყოფილებასთან.

ახალი დებულება სექციის შესახებ.

(მომხსენებელი ამხ. ავენირი)

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ავენირმა დაახასიათა სექციის მიუხედავ მუშაობა გასული წლების განმავლობაში, აღნიშნა ამ მუშაობის დეფექტები, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სექცია არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ის თავის მუშაობაში არ იყო საკმაოთ დამოუკიდებელი.

ახალ დებულებას მეტი გარკვეულობა შეაქვს სექციის მუშაობაში. სექციის ამოცანები უფრო დეტალურათ და ნათლათ არის ჩამოყალიბებული; სექციას მეტი დამოუკიდებლობა ენიჭება, მას შეუძლია იქონიოს საკუთარი წრეები, კუთხეები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, სხვა და სხვა ფონდები და სხვ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **მუშინშვილის** მოხსენება საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის შესახებ.

პროფ. ლომონოსოვის ელექტრომავალი

ვალი ა | ჰ. რკინისგზებზე

23 აპრილს სადგურ დერბენდი დან ამიერ-კავკასიის რკინის გზით თბილისში გამოემგზავრა პროფ. ლომონოსოვის დიზელ ელექტრომავალი, რომელიც მატარებელს ამოძრავებს არაგარედან მიღებული ელექტრონენერგიით (როგორც ტრამვაის ვაგონი), არამედ შიგ მოთავსებული მანქანა დიზელის საშუალებით.

დიზელ ელექტროვალი ძლიერი ძალიერი ნაკლის გამო მეტად გასაჭირებულ მდგომარეობაში ყოფილა. ელექტრომავალს ორი ელექტრომავალისათვის მოუხსნიათ 17 ცისტერნი და 1 ელექტრომავალი მხოლოდ საკლასო ვაგონებით გამგზავრებულა შესაკეთებლად სადგურ ძეგამში.

გუშინ საღამოს 6 საათზე მატარებელს უკვდა წინ წაეწევა, მაგრამ იძულებული გამხდარა უკან დაბრუნებულიყო. ელექტრომავალს ღამით ვერ უმუშავია და ამიტომ მატარებელი შეჩერებულა სად. ძეგამში პროფ. ლომონოსოვის ელექტრომავალს თბილისში მოელიან 11 ღამეს 11 საათზე.



პროფ. ლომონოსოვის ელექტრო-დიზელ-ლოკომოტივი, მარჯვნით კუთხეში ზევით პროფ. ლოკომონოსოვი

საზოგადო სამზარეულოები

მშრომელი ქალების ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია აწყობს დასასვენებელ სახლებთან საზოგადოებრივ სამზარეულოებს, სადაც სამუშაოდ მოწვეულნი იქნებიან უმუშევარი მხარეული ქალები.

ამ ჟამად მშრომელი ქალების მდგმარეობის გამაუმჯობესებელი კომისიას ბევრი მშრომელი ქალი ჰყავს გაგზავნილი სამუშაოდ სანადილოებში, გასტრონომიულ მაღაზიებში და სხვაგან.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს ასეთ დაწესებულებებში გაგზავნილი ქალები ნაიერთიანოს სექციის ბიუროს მუშაობა გასული წლების განმავლობაში, აღნიშნა ამ მუშაობის დეფექტები, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სექცია არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ის თავის მუშაობაში არ იყო საკმაოდ დამოუკიდებელი.

ახალ დებულებას მეტი გარკვეულობა შეაქვს სექციის მუშაობაში. სექციის ამოცანები უფრო დეტალურათ და ნათლათ არის ჩამოყალიბებული; სექციას მეტი დამოუკიდებლობა ენიჭება, მას შეუძლია იქონიოს საკუთარი წრეები, კუთხეები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, სხვა და სხვა ფონდები და სხვ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **მუშინშვილის** მოხსენება საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს პროფკავშირთა

III-ე ყრილობა

(ბოლო)

ანგარიში.

ანგარიშზე ლაპარაკობენ: ამხ. **ბოლოტინი** (ტ. ბ. ტ. ტ.), ამხ. **ბოლოტინ** (ბ

პატარა ფელეტონი

„დეილ მეილი“,

ანუ ქართულად:

საქმე დალეული.

ბულგარეთის ამბებმა სამაბი მისცა ფაშისტურ პრესას საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანიის დაწყებისთვის.

„დეილი მეილი“ მიიიზოვს დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტას საბჭოთა კავშირთან.

(დაბეჭდილიდან)

ეაი, რა სასაცილოა
ეგ სამწუხარო ამბავი?
არ მიძლებს ყბა, არც კბილები,
არც მუცელი მაქვს ამთავი.

არ ვიცი, რით-ღა შევიკრა,
რომ ავსცდე ხათაბალასა?
ისევ ყბებს დავათანიებ,
კბილებს დავატან ძალასა.

მუცელსაც, ღვედის მაგიერ,
მე ბოჭკის სალტით შეკონავ
და ასე მომაგრებული
სიცილის ტაბაში შეეფონავ!

არა, ნუ გაგიკვირდებათ:
რას სჩუხავს „დეილ მეილი“?
კაცს საქმე რომ დალეულა,
მეტიც მოხდება ხეირი!

აბა, სად ბულგარეთი და
სადით საბჭოთა კავშირი?!
ერთს მუშას წამოეკიდა
ზურგს ერთი ჭეირთი ნახშირი;

გზად შეხვდა კაცი, რომელსაც
სოფელში სახლი დასწოდა:
გარწმუნებთ, იმის ამბავის
ამან არა რა იცოდა!

გამარჯობ-გაგიმარჯოსა
მოჰყვა სხვადასხვა კითხვები:
არც მენახშირე მუნჯობდა,
არც სოფელს აკლდა სიტყვები.

„სად მიხვალ?“—ქალაქს!
—„რა მიგაქვს?“ — ნახშირი, აი,
ტკირთიო!
—„ნახშირი?! ახეცო, რას ბოდავ“?!
მიპასუხა, რომ დაითრიოს...

არც მენახშირე სუსტობდა,
წაიკაპიწა მკლავები:
და ორთავ ერთი-მეორეს
ზურგზე ააძრეს ტყვიები!..

სახლის დამწყვეტი კი ამ დროს
თვის საქმეს არვის უმხელდა
და ამის მოწმე სიცილით
კვდებოდა, მუცელს იზელდა!..

არა, სად ბულგარეთი და
სადით საბჭოთა კავშირი?
მაშ, სახლის წვა რომ კვლავაც მოხდეს,
ჩვენ ვერ გვეზიდაეს ნახშირი?!.

ონისიმე.

ახალი ექიმები

წინა წლებში დაავთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი და 1924 წლის სახელმწიფო გამოცდელ კომისიას (მეოცე სესიაში) სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და ექიმის ხარისხი მიიღეს შემდეგმა პირებმა:

1) ასლანიშვილი იოსებ ანტონის ძე,
2) ბაღაშვილი ელენე აბრამ. ასული,
3) ბურჯანაძე ანნა შიოს ასული,
4) გიორგაძე გალაქტიონი დავ. ძე,
5) ვარდოსანიძე ანტონ დავითის ძე,
6) კუნქაშვილი გრიგოლ სიმონის ძე,
7) მოშიაშვილი ეთერ მოსეს ასული,
8) ნემსაძე პანკრატი ნიკოლოზის ძე,
9) როგავა ანდრია ივანეს ძე,
10) სულხანიშვილი სოფიო დავ. ას.,
11) სულავა იობი სოლომონის ძე,
12) შენგელაია თომა გრიგოლის ძე,
13) შოთაძე გიორგი ივლიანეს ძე,
14) ჩარექიშვილი გიორგი მიხეილ. ძე,
15) ჯულაკიძე ნინო სოლომ. ასული,
16) ვარტუმიან ნინო ოჰანეზის ასული,
17) ნიკიტინა-პოკროვსკაია ელ. ა. ას.,
18) პაპოვიან სოფიო არტემის ასული,
19) სინაკინა მარიამი ნიკ. ასული,
20) სვინინი ილია ალექსანდრეს ძე.

ქრონიკა

— **ტყის დაცვა.** მ | გ. ინსპექციამ საჭიროთ სცნო საქართველოში ტყისმცველთა შტატის გაფართოება.

— **სპეც-ტანისამოსი** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით უნდა ირეცხებოდეს წარმოების ხარჯზე.

— **საქართველოში მებამბეობის საქმის** გასაუმჯობესებლათ ამ | კ. სასოფელო-სამეურნო ბანკმა გასული წლის 1 აპრილიდან ამ წლის 1 აპრილამდე გასცა სესხად 300 ათასი მან.

— **ბოდბის დასასვენებელ სახლებში** სოც. დაზღვევის სამმართველო წელს გაგზავნის 150 დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეს.

— **ტყის დაცვა-მოვლის** გასაუმჯობესებლათ მ | გ. ინსპექციამ საჭიროთ სცნო დანიშნული იქნას 4 რეიზორი-ინსტრუქტორი.

— **ა | კ. კოოპერაციას** ამჟამად საკუთარი თანხა აქვს 3.663.166 მანეთი.

— **საკ. სამხედრო კოოპერაციის** წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნება სამშაბათს, 28 აპრილს წმიელ არმიელთა ცენტრ. კლუბში.

— **ფულადი დახმარება** 30 აპრილს მიეცემათ იმ დაზღვეულებს, რომლებმაც გამოუშვეს ფულის მიღების თავისი რიგი.

— **მანქანების ნაწარმოების მიღება.** ქ. ელექტრო-სადგურების სამმართველომ გერმანიიდან მიიღო ქალ ელსადგურებისათვის საჭირო მანქანების ნაწილები.

— **დაღვრილი წყალი.** მარტში წყალსადენის დაზიანებულ მილების გამო დაიღვარა 11.117.345 ვედრო წყალი.

— **მშობიარობა უმტკივნეულოთ.** ჯანსაღმა საზღვარგარეთიდან მიიღო თბ. სამებიო ინსტიტუტისათვის მშობიარობის უმტკივნეულოთ ჩამტარებელი აპარატი.

— **სურამის სულის ავადმყოფთა** ახალშენი გაფართოებული იქნა 10 საწოლით.

— **საექიმო შემმოწმებელმა** ბიურომ იანვარ-მარტის განმავლობაში შეამოწმა 103 კაცი, აქედან 49 ომის და 48 შრომის ინვალიდი.

— **შეღავათი რედაქციებს.** ფ.-ტ. სახ. კომისარიატმა დაადგინა რედაქციების სახელზე მოსულ უმარკო წერილებსა და ამანათებზე შემოიღოს ერთგვარი გადასახადი.

— **საფოსტო კავშირი დანიასა** და საბჭოთა კავშირის შორის დამყარდება 1-ლ მაისიდან.

— **უმუშევართა დაზღვევა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაშზღვევ სალარომ დახარჯა უმუშევართა დაზღვევის სამშზე 33.712 მან. 60 კ.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 26 აპრილს, დილის 12 საათზე პათოლოგიურ ანატომიის უფროსი ასისტენტი ვასილ ვარაზაშვილი დაიცავს დოკტორის ხარისხის მისაღებად დისერტაციას შემდეგი სათაურით: „მღვრიეე შეშუპება ღვიძლის ვირაგ ცოლის მოძღვრებასთან დაკავშირებით“.

ოფიციალ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. ვ. ვორონინი, პროფ. ს. ბირსალაძე და დოც. ვ. ელენტი.

ახალი ფიზნები.

— **გამოვიდა** დ. უზნაძის შრომა: „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (პრინციპული საფუძველები და შეგრძნებათა ფსიქოლოგია) ტომი 1-ლი. უნივერსიტეტის გამოცემა. ღირს 4 მან. წიგნი შეიცავს 468 გვ.

— გამოვიდა რუსულ ენაზე „კოოპერაცია ამიერ-კავკასიაში“ (საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი). წიგნს დართული აქვს ამხ. მამია ორახელაშვილის წინასიტყვაობა. ღირს 3 მან.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 24 აპრილს, ღამის პირველ საათზე მუშტაიდის ახლოს ეტლით მიმავალი ქალი რაისა ჯაიანცი ვიღაც ბოროტმოქმედმა მუცელში დასჭრა ცივი იარაღით. დაჭრილი გადაგზავნეს. **რკინის** გზის საავადმყოფოში.

— **გაქურდვა.** 28 აპრილს ღამით კლასიკურ ქუჩაზე № 10 მოქ. რუდოლფ დელის საკუჭნაოდან მოიპარეს სხვადასხვა ნოტები, ღირებული 75 მანეთად. შეიპარეს ქურდი, რომელიც აღმოჩნდა ქუჩაში მოხეტიალე მოქ. ლეტტე რაიონიანი.

— იმავე დღეს ბოტანიკურ ქ. № 60 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს იოსეფ აბას აბაოვის სამზარეულო, საიდანაც წაიღებულია 200 მანეთად ღირებული ალუჯახო ნივთები.

— 24 აპრილს, დღისით, კრილოვის ქ. № 7-ში გაქურდეს მორგებული გასაღების საშუალებით ტიგრან მენჯულაევის ბინა, საიდანაც წაღებულია 225 მანეთად ღირებული სხვადასხვა ნივთები.

— იმავე დღეს, დილის 11 საათზე, გაქურდეს ელისაბედის ქუჩაზე № 79, ვლადიმერ ნამადოვის ბინა, საიდანაც წაიღეს 215 მანეთად ღირებული ნივთები.

— 28 აპრილს გაქურდეს სიმონოვის ქუჩაზე № 6 მცხოვრები ტერ-კარაპეტიანცის ბინა, საიდანაც წაღებულია 140 მანეთად ღირებული ნივთები.

— 23 აპრილს, ღამით, გაქურდეს მასაათის შესახვევში № 1 მცხოვრებ იბრაგიმ იზა-ხულოვის სამზარეულო. წაღებულია 55 მანეთის ნივთები.

— 24 აპრილს, დილას 4 საათზე, პეტროვის ქ. № 15 მაკალიკეევის ეზოში მოიპარეს გაფენილი 1 ფარდაგი, რომლის ღირებულება უდრის 50 მანეთს.

— **საექიმო შემმოწმებელმა** ბიუროს ივანარ-მარტის განმავლობაში შეამოწმა 103 კაცი, აქედან 49 ომის და 48 შრომის ინვალიდი.

— **შეღავათი რედაქციებს.** ფ.-ტ. სახ. კომისარიატმა დაადგინა რედაქციების სახელზე მოსულ უმარკო წერილებსა და ამანათებზე შემოიღოს ერთგვარი გადასახადი.

— **საფოსტო კავშირი დანიასა** და საბჭოთა კავშირის შორის დამყარდება 1-ლ მაისიდან.

— **უმუშევართა დაზღვევა.** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაშზღვევ სალარომ დახარჯა უმუშევართა დაზღვევის სამშზე 33.712 მან. 60 კ.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 26 აპრილს, დილის 12 საათზე პათოლოგიურ ანატომიის უფროსი ასისტენტი ვასილ ვარაზაშვილი დაიცავს დოკტორის ხარისხის მისაღებად დისერტაციას შემდეგი სათაურით: „მღვრიეე შეშუპება ღვიძლის ვირაგ ცოლის მოძღვრებასთან დაკავშირებით“.

ოფიციალ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. ვ. ვორონინი, პროფ. ს. ბირსალაძე და დოც. ვ. ელენტი.

ახალი ფიზნები.

— **გამოვიდა** დ. უზნაძის შრომა: „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (პრინციპული საფუძველები და შეგრძნებათა ფსიქოლოგია) ტომი 1-ლი. უნივერსიტეტის გამოცემა. ღირს 4 მან. წიგნი შეიცავს 468 გვ.

— გამოვიდა რუსულ ენაზე „კოოპერაცია ამიერ-კავკასიაში“ (საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი). წიგნს დართული აქვს ამხ. მამია ორახელაშვილის წინასიტყვაობა. ღირს 3 მან.

ხელოვნება

პიანისტ რუსტამბეკოვის კონცერტი.

ბორის რუსტამბეკოვმა წარსულ წელში დაამთავრა პროფესორ ტრუსკოვსკის კლასი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში; ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი ახალგაზრდაა იმ პიანისტებს შორის, რომლებიც გამოუშვა „რესპუბლიკის ულაღლესმა მუსიკალურმა სასწავლებელმა. მას აქვს საესტრადო პიანისტური ნაბეჭ.

რასაკვირველია, ეს ახალგაზრდა პიანისტის პირველი ნამიჯებია საკონცერტო მოღვაწეობაში და ლაჰარაკი იმაზე, რომ რუსტამბეკოვი დამთავრებული მუსიკალური ძალაა —ხაადრეული.

მაგრამ ეჭვს გარეშეა ერთი რამ: იმ შემთხვევაში, თუ პიანისტი განაგრძობს მეცადინეობას, მას მოელის დიდი მუსიკალური კარიერა. პიანისტს კარგი ტეხნიკა და მუსიკალობა აქვს, მას ეხერხება ინსტრუმენტალური ტეხნიკის გამოყენება, ხანდახან მის შესრულებაში არის ლამაზი ტონი.

დეფექტები, რომლებიც სჩანდა კონცერტის რთულ და პასუხსაგებ პროგრამის შესრულებაში, ნაწილობრივ აიხსნება ხელების და ტეხნიკის სათანადოთ განუვითარებლობით და შემდეგ მღელვარე ით.

ბეთხოვენის უძველესი სონატა კარგათ აქვს შესწავლილი პიანისტს. დაცულია ბეთხოვენის შემოქმედების აკადემიური ხასიათი. სონატის მეორე ნაწილი შესრულებული უნდა იქნეს უფრო თავდაჭერილათ, მოფიქრებით და მეტის განწყობილებით. ფინალი სავსებით დამთავრებული იქნებოდა, რომ პიანისტს ეხერხებოდეს თითების ტეხნიკის თავისუფლათ გამოყენება.

შოპენის სონატა კარგათ იყო შესრულებული, განსაკუთრებით უძველესი მე-4 ნაწილი. პიანისტმა მოგვცა ერუთხელის მომგვერელი სურათი, რასაც მოითხოვს სწორედ ამ სონატის პროგრამული მუსიკა (პოლოხეთის ისტორია რევოლიუციის წინა ხანებში).

ვერ დავეთანხმებით პიანისტს სამგლოვიარო მარშის გაგებაში (მესამე ხაწილი); აქ უფრო მკაფიოთ უნდა იქნეს გამოხატული სამგლოვიარო პროცესია.

საუცხოოთ იყო შესრულებული გლაზუნოვის სანატა, შოპენის მაზურკა და ლისტის ეტიუდი „კამპანელლა“.

ახალგაზრდა პიანისტს მქუხარე ტაშით შეხვდა მრავალრიცხოვანი აუდიტორია.

ჯ. ბ.

კომპოზიტორი სპენდიაროვი და სომეხური მუსიკის სალამი.

ერევნიდან ჩამოსულ სომეხ კომპოზიტორს ალექსანდრე სპენდიაროვს საპატივცემლოთ „იარატუნის“ დარბაზში ამ კულტურული დაწესებულების მუსიკალური სექციის მიერ გამართული იყო კონცერტი, რომლის პროგრამა მიძღვნილი იყო თანამედროვე სომეხური მუსიკისათვის.

კონცერტზე შესრულებული იყო თანამედროვე სომეხ კომპოზიტორების—სპენდიაროვის, ტერ-გევორკიანის, ბარხუდარიანის და ზაქარიანის ნაწარმოებები.

რასაკვირველია, ყველაზე უფრო გამორჩეული და პოპულარული სომეხ კომპოზიტორებს შორის—უეჭველათ სპენდიაროვია. ვინ არ იცნობს მის ძველებურ სიმფონიურ ნაწარმოებებს: „ყირიმის ეტიუდები“ და „სამი პალმა“.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კომპოზიტორი ყირიმში სუხოერობდა, სადაც ის მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მას მაინც არ მიუტოვებია მუსიკალური შემოქმედება. და დასწერა ოპერა „ამმასტი“, რომლის სიუჟეტი აღებულია სომეხ-სასარსელთა ურთიერთობის ისტორიული ეპოქიდან. ამას გარდა სპ. ნდიაროვმა შექმნა მთელი რიგი სიმფონიური ნაწარმოებები (ყირიმის ესკიზი, ბერაული მარში მცირე სიმფონიონ ორკესტრისათვის, სიმფონიური სიუიტა და მთელი რიგი ეოკალური ნაწარმოებები).

სპენდიაროვის ნაწარმოებებიდან მომეფარალ ქალ ტერ-დანიელიანის მიერ შესრულებული იქნა მისი „ნანინა“ და „აიჯამატ“. პიანისტმა ქალმა ტიგრანოვამ კი შესარულა სიმფონიური სურათი „ხაიტარმა“. კომპოზიტორის ნაწარმოებებში სჩანს სიახლე, საქმის ცოდნა და კულტურა; მათში ბევრია ლამაზი მელოდიები.

ბაბუდარიანის ნაწარმოებებიდან შესრულებული იყო ნაწყვეტები და ვოკალური ნომრები მისი ოპერიდან „სედა“, და აგრეთვე რომანსი „შემოდგომა“.

კომპოზიტორის ნაწარმოებებში სჩანს სიანტერესო და კოლორატურა ინდივიდუალისტური შემოქმედება, განსაკუთრებით არიაში (ქალის ხმა) ოპერიდან „სედა“. დამაზია მისი „მსცელელობაც“; რომანსი „შემოდგომა“ დაჭრილია განწყობილებით.

ბარხუდარიანის მოღვაწეობა მიმდინარეობს სომხური ხალხური მელოდიების დამუშავების გზით. ბარხუდარიანი სეგეთესა შემოქმედია ხელოვნების ამ სფეროში. მისი შემოქმედება თავისებურია, მასში ბევრია აღმოსავლეთური სტილეთ დაწერილი ლამაზი მელოდიები ფორტეპიანოს ნაწარმოებები ეფორ ინტერპრეტაციონალური მელოდიისა და ჰ რმონიის მხრივ.

სპინტერესოა ახალგაზრდა კომპოზიტორი ზაქარიანი—ფორტეპიანოს პროკლიუდი და ორი რომანსი. კოლორატურული მირზოიანის და ტალიანის ნაწარმოებები.

შემსრულებლებათ გამოვიდენ მომღერალი ქალი ტეოო-დანიელიანი, ოპერის მაესტიმი ვეზენეანოვი და პიანისტი ქალი ტიგრანოვა, რომლებმაც მზეგანვრათ შეასრულეს კონცერტის პროგრამა.

მუსიკოსი.

— **უკრაინულ კაპელას „დუმკა“-ს.** უკანასკნელი კონცერტი გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრში.

— **სახე უმეფეო ოპერის** თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ს ი ლ ვ ა“.

— **პერინის სტუდიის** საბალეტო წარმოდგენა ბავშვებისათვის გაიმართება დღეს ოპერის თეატრში, დასაწყისი დღის 12 საათზე.

— **ლ. სობინოვის გამოსათხოვარი გასტროლი** გაიმართება სამშაბათს, 28 აპრილს. წარმოდგენილი იქნება: „ლოენგრინი“.

— **კინო ბავშვებისათვის.** დღეს, „მინიონში“ ბავშვებისათვის გაიმართება საბავშვო სეანსი. ნ.ჩვენები იქნება „ალადინი და მისი ჯადოსნური ლამფა“. დასაწყისი დღის 12 ს.

— **„პალასში“.** ბავშვებისათვის გაიმართება საბავშვო სეანსი. ხარჯენები იქნება საინტერესო სუოათები ბავშვთა ცხოვრებიდან.

— **ეგონ პეტრის კონცერტი.** მსოფლიოში ცნობილი პიანისტის ეგონ პეტოის პირველი გასტროლი გაიმართება დღეს, თეატრ „ტარდში“.

— ა ხ ა ლ ი თ ვ ა ტ ი რ — დღეს ახალი პროგრამა № 21. დამინსკაიას გასტროლი.

— ც ი რ კ ი — წარმოდგენა ორალი პროგრამით. ფრანგული ჭიდაობა.

— **ალ. მირიანაშვილის გარდაცვალება.** 24 აპრილს საღამოს 8 ს.ს. საათზე გარდაიცვალა ყოფილ „ნაკადული“-ს მუდაივი თანამშრომელი, ალადაგი ალ. მირიანაშვილი.

— **ახალი ფიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა კ. გულიაშვილის პიესა 4 მოქ. „პირველი მაისი“.

დღეს კინოებში

— ა პ ო ლ ო — „ორი ობოლი“.
— ა რ ფ ა ს ტ ა — „ქარიშხალის მაუწყებელნი“.
— ს ო ლ ე ი — „ქარიშხალის მაუწყებელნი“.
— მ ი ნ ი ო ნ — „უბიდეთო მგზავრი“.
— პ ა ლ ა ს ი — „რაფაელ ქალიშვილი“.
— თ ე ი ა ტ ი მ ფ რ ი ნ ა ვ ი — „ურაგანი“.
— ო ბ ი ს — „ამერიკელი ქალის თავგადასავალი“.
— ა ი ს ი — „ყარნაველის ბავშვები“.

ფიზიკური კულტურა

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი თბილისში.

მომდინარე აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისში მოეელიან საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს, რომელიც აქ გამართავს ორ შეჯიბრებას. ამ გუნდში, სხვათა შორის, შედის თბილისისათვის ნაცნობი ს

კომპალექტი

მთავროგის მოქმედებანი, და ბანაბრგულებანი

დადგენილება № 18.

ადგენილად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა—მიზეზის ჩამორთმევის წესის შესახებ.

რადგანაც ამ ბოლო დროს შემჩნეულია ადგილობრივ ორგანოების ორკანონიერების მიერ უკანონოდ ზეზეულის ჩამორთმევა, რაც ძირს უთხრის მთავრობის პოლიტიკას მიწის საკითხში, უკარგავს გლეხს რწმენას, ბრალ მის მიწის სარგებლობა მკვიდრ ადგებაზეა აგებული და ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის აღდგენას საქმეს,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიწის ჩამორთმევა საერთო წესად შეიძლება მხოლოდ მიწის კომუნაში გარკვეულად გათვალისწინებულ შემთხვევაში. მიწათ-მოქმედების სასაზღვრო კომისარიატის იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ეს დაკისრებული აქვს, ანდა საოანადო სასამართლო დაწესებულების დადგენილებით (13, 14, 15, 18, 25, 27, 65, 67, 78, 83, 154-ს წერილი და 161 მუხ.).

2. ამ საერთო წესის გარეშე იმ ზედმეტი მიწის ჩამორთმევა, რაც ნორმას აღემატება, ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სასაზღვრო საადგილმამულო კოლეგიის ინიციატივაზე დამყარებულ მიწადმოქმედების სასაზღვრო კომისარიატის საადგილმამულო საბჭოს დადგენილებით, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. ის პირი, რომელიც მიწას ჩამოართმევს ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევით, პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამ. კოდექსის 109 მუხლისამებრ, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. ახაჩაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. ორდრეა.**

1925 წლ. აპრილის 15.
თბილისი-სასახლე.

ლიტერატურულ-მხატვრული საღამო

ორშაბათს, 27 აპრილს, პროფკავშირების დიდ დარბაზში გაიმართება **ლიტერატურულ-მხატვრული საღამო**

ამხ. ილ. მგელაძე---ვარდენი

გააკეთებს მოხსენებას—„რევოლიუცია და ლიტერატურა“, პოეტი სანნიგოვი წაიკითხავს თავის ლექსებსა და პოემებს. დასასრულ გაიმართება კამათი. მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ არიან; აკოფ აკოფიანი, ვ. ბახტაძე, კ. გამსახურდია, გომართელი, გრიშაშვილი, სეით დევდარიანი, ინგოროყვა, მაკინციან, ლევ. პოვიცკი, გრ. როგაჭიძე, სურხატიან, სუტირინ, ტაბიძე, ს. ხანოიან, პაოლო იაშვილი, ვლ. ელსნერ. ფასები 30 კაპ.—1 მან. 50 კაპეიკამდის, ბილეთები იყიდება შესავალთან 27 აპრილს, 12 საათიდან. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1—1

სახელმწიფო ოპერა | სამშაბათს, 28 აპრილს

შეძანასკნელი გასტროლი სახალხო არტისტ

ლეონიდ სობინოვის

ლოენგრინი

ნ. № 1164. 3—2

გაზაფხულის სეზონის ბაზნა—ბ

კვირას 26 აპრილს **დილი** კვირას 26 აპრილს

დასაწყისი 12 ს. 30 წ. დასასრული ნაშუადღევის 4 ს.

ნ. 1156 2—2

კვირას, 26 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია

მეცნიერების მუშაკთა სექციის

საზოგადო კრება

კრება შესდგება განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1) ანგარიში სექციის განვლილ მუშაობის შესახებ.
2) სექციის ამოცანები და მომავალი მისი მუშაობა.
3) ბიუროს არჩევნები.

ნ. 1164 1—1 **მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიურო.**

კვირას, 26 აპრილს, **რუსთაველის თეატრი** კვირას, 26 აპრალს,

უკრაინიდან ჩამოსული პირველი მუშურ-გლეხური

კაპელლა-„დუმა“

ნესტორ გოროდოვენკოს მეთაურობით

გამართავს თავის უკრაინულ **კონცერტს**

პ რ ო გ რ ა მ ა შ ი

I **უკრაინული ხალხური სიმღერები**

II **ქართული ხალხური სიმღერები** (ზ. ფალიაშვილის და დ. არაყიშვილის ჰარმონიზაცია)—ქართულ ენაზე

III **გერმანელი კლასიკები**

ბეთხოვენი, შუბერტი, ბეთხოვენი, შუმანი, ვაგნერი და საფრანგეთის იმპერსიონისტები—დებიუსი და რაველი

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

ბილეთები იყიდება

ნომ. 1171. 1—1

ბარტიული და საბჭოთა ბალენდარი

პ ა რ ტ ი ულ ი

— თ. კ. აღმრიცხველ-გამწყობ. განყოფილება ფინანსადებას აძლევს სამი დღის განმავლობაში ამხ. კარელისთან გამოცხადდეს შემდეგი ამხანაგები:

ბეგინაძე გიორგი, ბალიეი ბაბეგ-ჯუსეინ, მესალოტინი ივანე, ზომელიძე სერგო, ბერაშვილი, ბაზარიანი ოსია, სარაფიან არშავირ, აკოფიანი ამაზასპ.

ამხ. ბაბოიშვილთან უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

ბოქინაშვილი ალექსი, ბვაკაძე სტეფანე, მალლაკელიძე მიხეილ, ალაჯანოვი გერასიმ, ანტონიანი მიხეილ, კარკლინი ოტტო, ტაშიბაევი გიორგი, სოკოლოვსკი ნიკოლოზ,

---

საშაბათს, 28 აპრილს, დღის 2 საათზე სკ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია

სკ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა.

თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— სკ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იწვევს შემდეგ ამხანაგებს „ლენინიზმის და ტროცკიზმის“ შესახებ მოხსენების გასაკეთებლად საშაბათს, 28 აპრილს, ახალგ. ლენინურ კომკავშირის უჯრედთა კრებებზე. ადგილის და დროის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ახალგ. კომკავშირის საოანადო რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა კაბინეტებთან.

პირველი რაიონისათვის: ასრიბეკოვი, კოლია ოკუჯავა.

მეორე რაიონისათვის: სვანიძე, ბუდიეევი, ბუხნიკაშვილი, ოუხაძე, ოვანიან.

მესამე რაიონისათვის: სირკინი, გოგეშვილი, ადამიან, რასულ-ზადე.

მეოთხე რაიონისათვის: კრუგლიკოვი, სნეგირევი, სტ. აკოფოვი, სტელმახი, ბოფერია, ნუცუბიძე, შამუკიან, ვარდანიანი.

სკ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინა, დედა თებრონია, ცოლის და ნეშო აღნიშვილი, ძმები: ბენიამენი, ბაგრატი და მაშა აუწყებენ ნათესავთ, შეგობართ და ნაცნობთ, რომ 24 აპრილს გარდაიცვალა

ალექსი ივანეს ძე მირიანაშვილი

პანაშვიდი ბინაზე საგურამოს ქ. № 13, დღეს, საღამოს 6 საათზე. გასვენება ბინიდან 27 აპრილს საღ. 5 საათზე დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე. 1141 1—1

დეკანოზი იოსებ მირიანაშვილი თავისი ოჯახით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 აპრილს გარდაიცვალა, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ალექსი ივანეს ძე მირიანაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (საგურ. 13) დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში დიდუბის ეკლესიის ეზოში, ორშაბათს საღ. 5 საათზე. 1142 1—1

განჯის საყუდის მუშა-მოსაამსახურენი უღრმესი მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ ამხანაგის, მემანქანე

სევერიანე თომას ძე ფანცულაიას

ტრაღიკულად დაღუპვას, რომლის დასაფლავებაც მოულოდნელად მოხდა ქ. განჯაში, 24 აპრილს. 1132 1—1

ალექსანდრა და ნინო ფანცულაია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, პირველი საყვარელ მეულის, მეორემამის

სევერიან თომას ძე ფანცულაიას

ტრაღიკულად დაღუპვას, რომლის დასაფლავებაც მოხდა ქალ. განჯაში 24 აპრილს. 1132 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე პილატე სიმონის ძე, შვილები: ლეო და თინიკო, ძმები: დარისპან და ალფესი, რძლები: ელენე და ლიუბა ამით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 23 აპრილს გარდაიცვალა ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

ოლღა გიგოს ასული ახალაძისა

რომლის გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავადმყოფოდან დღეს, დილით 11 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1131 1—1

ქ. თბილისში მდებარე ყველა საცხოვრებელ სახლების მეპატრონეთა, გამგე-მართველთა და კომენდანტთა საყურადღებოთ,

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მიუხედავთ მრავალ-მხრივ გაფრთხილებისა, საცხოვრებელ სახლების ზოგიერთი მეპატრონენი, გამგე-მართველნი და კომენდანტები იჩენენ სრულ დაუდევრობას თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გ. | წ. 24 დეკემბრის № 7 სავალდებულო დადგენილებით განსაზღვრულ მოვალეობათა ასრულების საქმეში. (აღნიშნული სავალდებულო დადგენილება გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტ“-ში ა | წ. 9 იანვრის № 7-ში და „რაბოჩაია პრავდა“-ში ა | წ. 9 იანვრის № 7-ში).

აღნიშნულის გამო ადმინისტრატიული განყოფილება ამით [უკანასკნელად აფრთხილებს საცხოვრებელ სახლების მმართველთ ზემოაღნიშნულ პირებს რომ ზემო მოხსენებული სავალდებულო დადგენილებანი შესრულებისათვის მიიღონ დაუყოვნებლივ შესაფერი ზომები

ამიერიდან სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა დადებულ ვადაში ჩაუწერლობა ან წასულთა ამოუწერლობა და საზოგადოთ საბინაო დავწერლობა ან წასულთა ამოუწერლობა ადმინისტრაციის უსწორო წარმომება გამოიწვევს დამნაშავეებზე შესაფერ ადმინისტრატიულ სასჯელის დადებას.

ამასთანავე ცნობად ცხადდება, რომ განყოფილების მიერ გაცემულია შესაფერი ბრძანება მ | გ. მილიციისა და სამისამართო ბიუროს კონტროლიორებისადმი, რომ მათ მიერ ხდებოდეს სისტემატიურად საბინაო დავთრების დათვალიერება.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების გამგე, იგივე მ | გ. მილიციის უფროსი—ხმალაძე.

საძიებელი ბ. | განყოფილების უფროსი—კიღურაძე.

ნ. 1170 1—1

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ **გაზ. „კომუნისტი“-ს** მთავარ კანტორაში

(**რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული**).

678 0—6. **გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.**

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

კურორტთა მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ რადიო-აქტიურ თბილ სამკურნალო წყლების

კურორტ წყალტუბოზე სეზონი

იხსნება 1-ლ მაისიდან

იგზავნებიან: ქრონიკული სახსრების რევმატიზმით, ნევრალგიით, ლიმფატიური ჯირკვლების დაავადებით ქრონიკული ქალური ავადმყოფობით და აგრეთვე ნეკრესის ქარებით.

ავადმყოფებს მიეცემათ ბინა (ოთახი).

ბინა . . . . . 40 კაპ.

ოთახი ღე-ღამეში 1—2 მან-დე

ავადმყოფი დაშვებული იქნება ბინაში მხოლოდ ექიმის წინასწარი შემოწმების შემდეგ.—შემოწმებისათვის ავადმყოფების გადახდებათ 1 მანეთი.

საკურორტო ამბულატორიაში ავადმყოფები უფასოთ იქნებიან მიღებული ექიმ **ტერაპევტის** და **გინეკოლოგის** მიერ.

დაზღვეულებს, წითელ-არმიელებს, გლეხებს და მათი ოჯახების წევრთ სათანადო საბუთების წარმოდგენით ექნებათ 25 პროცენტი შეღავათი როგორც ოთახებზე; ისე ბანაობაში და ექიმის შემოწმების გადასახადში.

კოოპერატიულ სასადილოში შეიძლება ხელმისაწვდომ ფასებში სალი საჭმელის მიღება.

ნ. 1147 5—2

გათოვის საბაჟო

ამით აცხადებს, რომ საბაჟოს საუქციონო დარბაზში ამა წლის 27 აპრილიდან დილის 10 საათზე გაიყიდება საქონლები ბათომის საბაჟოს საკონფისკაციო საქონლების მიხედვით:

1924 წ. №№ 18, 215, 1101 და 1106.
1925 წ. №№ 44, 73, 117, 133, 135, 137, 138, 150, 160, 163, 173, 194, 196, 198, 201, 332.
ქობულეთის საბაჟოს 1925 წ. № 1, 2, 3, 4, 5.
ბარფის „ „ № 2—15.
ბაბაჯანლისპირის „ 1924 წ. № 121, 138—142.
„ „ 1925 წ. № 1.

გაიყიდება შემდეგი საქონელი:

ზეთიოტი 698 არ.	შეფასებულია 4188 მ.	დანა „ფილეტი“ 1235 ც.	შეფასებულია 70 მ.
ტყავი ლაქის 367 ც. 1371 ფ.	„ 4600 მ.	ფოლაქები 2765 დ.	„ 1000 მ.
„ ფეიერა 296 ც. 1195 ფ.	„ 2067 მ.	ქაფი „ჯ. მ. ს.“ 2307 დ.	„ 2307 მ.
ჰუდრი „კოტი“ 560 კ.	„ 1594 მ.	ფეხსაცმელის თვლები 2 ფ. 46 ბ.	„ 330 მ.
ქალის „ ფალტები 2536 წყვ.	„ 2600 მ.	ყავე მარცვლები 30 ბ.	„ 30 მ.
კაცის „ 200 ც.	„ 300 მ.	„ პოდვიაზკები“ კაცის 332 წყ.	„ 332 მ.
ფეხსაცმელების ზოლტები 8 ნახ. გირ.	„ 100 მ.	ინგლისური ძინძისთავები 200 გრ.	„ 200 მ.
სამკერვალოები 798 ც.	„ 300 მ.	ქაფნე 80 ც.	„ 200 მ.
სამართებელი 1053 ც.	„ 2153 მ.	ქბილის საბეჭდოს ხელსაწყო და სხვა საქონლები	

ნ. 1158 3—2 **საბაჟოს გამგე ა. ქორდანია.** **საქმეთა მმართველი გეგეშოვი.**

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

ილებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდეს, საღამოს 4—8 საათამდის.

25—16

ქბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

ქბილის და ღძილის ავადმყოფობა ხელოვნური ქბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—17

საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ

1923|1924 საოპერაციო წლის

დივიდენდი

აქციონერების საერთო კრებამ განსაზღვრა 15 პროცენტით. ბანკის აქციონერებს—კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო ფირმებს და პირებს შეუძლიათ მიიღონ კუთვნილი დივიდენდი როგორც ნაღდი ფულით, ისე ბანკის მიერ ახლათ (მეხუთედ) გამოშვებულ აქციებითაც; **მე-5 გამოშვების აქციის ნომინალური ღირებულება უდრის 100 მანეთს, მისი ფაქტიური ფასი განსაზღვრულია 120 მან. 74 კაპ.**

დივიდენდის გაცემა სწარმოებს როგორც ბანკის გამგეობაში, ისე ყველა მის განყოფილებებში; დივიდენდის მისაღებათ საჭიროა შემდეგი კუპონების წარდგენა:

№ 2 პირველი ორი გამოშვების აქციებიდან და № 1 მესამე გამოშვების აქციებიდან—თვითეული 15 მან. ღირებულების და № 1 მეოთხე გამოშვების აქციებიდან—7 მან. 50 კაპ.

ნ. 1160 1—1

„სინდშვეიპროდ“-ის

ადმინისტრაცია

ამით აცხადებს ყველა დაინტერესებული პირების საყურადღებოდ, რომ 1-ლი აპრილიდან ყოფ. **„სინდშვეიპროდ“-ის,** ეხლა-კი **„მოსკოვშვეი“-ის** ყველა მაღაზიებში გრძელდება **„სინდშვეიპროდ“-ის** ძველ კოლექტიურად და ინდივიდუალურად გაცემულ კრედიტების გადასახადების მიღება; გადასახადებს იღებს აგრეთვე სპეციალური აგენტი—ინკასატორი ამხ. ლევან მიხეილის ძე **ჩიქვაიძე,** რომელსაც ამისათვის აქვს სპეციალური მოწმობა.

იმ გადამხდელების წინააღმდეგ, რომლებიც თავის დროზე არ შემოიტანენენ გადასახადებს, ადმინისტრაცია მიიღებს გადამწყვეტ ზომებს მათი **„სინდშვეიპროდ“**-ისადმი დავალიანების დასაფარავად.

„სინდშვეიპროდ“-ის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კანტორა მოთავსებულია „მოსკოვშვეი“-ს კანტორასთან, რუსთაველის პრ. № 10.

1—1 ნ. 1176 „სინდშვეიპროდ“-ის ადმინისტრაციის რწმუნებული **მ. ბ. შუფინი.**

სამკერვალო მრეწ. წარმოებების მოსკოვის სახელ. გაერთიანება

ტრესტი „მოსკოვშვეი“ ტრესტი

ტელეფონი 6—78, **რუსთაველის პროსპექტი № 10.**

თბილისის განყოფილება

ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ ა. წ. 1-ლი აპრილიდან **„სინდშვეიპროდ“-ის** მთელი აპარატი ამიერ-კავკასიაში—საწყობები და მაღაზიები **გადავიდა** ტრესტ „მოსკოვშვეის“ განკარგულებაში.

ფასები ყოველგვარ საქონელზე დაკლებულია 15-დან 30 პროცენტამდე.

ბუზა-მოსაამსახურეებს ფართო კოლექტიური კრედიტი

მიღებულია სასეზონო საქონლის დიდი ასორტიმენტი

ნ. 1168 3—1. **„მოსკოვშვეი“-ს განყოფილების გამგე მ. ბ. შუფინი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

სამმართველო: რუსთაველის პრ. № 31 ტელეფ. 6--43

სამმართველო: რუსთაველის პრ. № 31 ტელეფ. 6--43

წიგნები, ნოტები,

მაღაზია № 1 — რუსთაველის პრ. № 11 ტელეფ. 5—43

მაღაზია № 4 — თავისუფლებ. მოედ. ტელეფ. 12—71

სათამაშოები და საკანცელარიო ნივთები

მოიმოყვეთ ასხლოვანები

მაღაზია № 2 — კლეხანოვ. პრ. № 100 ტელეფ. 22—11

მოიმოყვეთ

განყოფილება — გათომში — ბესარიონ ინტერნაციონალის ქუჩა

ადგილზეთ თავალ-ყური ჩვენს ფანდ-ცხაბდებზე „ეკონომ-ფეფელ“.

მაღაზია № 3 — ქალაქთ. ს. მოედანი № 1 ტელეფ. 18—72

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიებსა და განყოფილებებში

დაინტერესებულებს, ორგანიზაციებს და წიგნის მაღაზიებს

განყოფილება — ქუთაისში — ლიბკნეხტის ქ. ტელ. 28



ფასდაკლება და ნისია



მიღება ხელმოწერა ამხ. ლენინის და ფ. მახარ ძის თხზულებებზე, სრული შერჩევა **სათამაშოებ-გასართობებ-ბის:** ფრედელის საჩუქრები, წახნა ები **(Кубики)** ამხ. ლენინის სურათებით და ასოებით, ჭადრაკი, სილით სათამაშო იარაღები, რეზინის სათამაშოები, ჰორტრ ტები და პლაკატები! მუსიკალური საწარმოებები: ეტიუდები, „დუეტები“, „პარტიტურა“, (სკოლა) **(Школа).**

მ ი ი ღ ე ბ ა დაკვეთა პიანინოების და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტებისა

სახელგამის მაღაზიები აძგენენ და აწვდიან ბიბლიოთეკებს სხვადასხვა საკითხებზე. მიღებულია უკანასკნელი გამოცემანი და იყიდება:

1. ვ. ცეცხლაძე—„ადამიანის ფიზიოლოგია“ ნებადართულია, როგორც სახელმძღვანელო
2. **სტალინი**—ლენინი და ლენინიზმი
3. **ბოგდანოვი**—პოლიტ. ეკონომ. დაწყებ. კურსი
4. **გორევი**—სოციალიზმის ისტორია მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით,
5. **ზინოვიევი**—რუსეთის კომ. პარტ. ისტორია.
6. **ორახელაშვილი**—პროლეტარ. რევოლ.??
7. **ორბელიანისა და ითრდანიშვილი** ფრანგული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო (სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტთათვის)
8. **მაჰავარიანი**—მოცლის ღრუს ქირურგია.
9. **ოლლოვეცკი**—ტაიგის სანგ ნი.
10. **ჯაკობ შვალი**—ჯაყოს ხიზნები.
11. „ —კვაში კვაპანტირაძე.
12. **ზედგინიძე**—ანბანის შემდეგ საკითხავი წიგ ნაკები 1—12.
13. **პირველი მაისი** (კრებული).
14. 1-ое Мая в Клубе
15. Праздник 1-го Мая
16. 1-ое Мая
17. **პირველი მაისისათვის** პლაკატები და პორტრეტები.
18. **ჟურნალი ქალთა წრის**—„ჩვენი გზა“

სახელგამის გუნჯალტერია იძლევა ყოველგვარ ცნობებს და აწარმოებს სხვადასხვა პირთა და დაწესებულებების ანგარიშებთან დაკავშირებულ ოპერაციებს

ნის. 116 2. 1—1

დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე

ს.ს.რ.პ. ს.მ.უ.ს.

ცხიმის, საღებლის, ჰიდროგენიზაციური და პარფიუმერიულ-კოსმეტიკური მრეწველობის

სინდიკატი „ქირსინდიკატ-“ი

1-ლი აპრილიდან

თბილისში გაიხსნა საagენტო

თავისუფლების მოედანი, № 1 (ყოფ. სასტუმრო „კავკასია“-ს ქვეშ).

საწყობში მიღებულია:

„**ტეფეს**“ (ტრესტი „ეირკოსტ“-ი ყოფ. ქარხნები ბროკარის, რალლეს და სხვ.) **უმაღლესი პარფიუმერიის განსაკუთრებული ასორტიმენტი და კართოფილის სანთლები.**

სარეცხი საპონი, სალოლინი, წებო, გლიცერინი უმაღლესი ხარისხის, სხვადასხვა პარფიუმერია და კოსმეტიკა და სიდნიკატში გაერთიანებულ ტრესტების სხვა პროდუქცია.

საagენტო ჰყიდის უშუალოთ ქარხნებიდან. კოომერაციას და სახელმწიფო ორგანოებს შეღავათი და კრედიტი.

ნ. 1150 1—1

ექიმი

მ. ა. ლუკოვსკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ამბულატორია

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—1

ექიმი

გ. გ. მეგრაგიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეციალურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746 25—12.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დაარსებულია

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ერვიულ და აგრეთვე ინ ავადმყოფოთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საქიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორლანოვის ქ. № 20.

9205 25—7

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების

სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს, რომ მის მიერ

ა. წ. 30 აპრილისათვის დანიშნულია რკინეგის მიწოდების

შეჯიბრება

შემდეგი ზომების და რაოდენობით

1. რგვალი, ზომით 1 | 8 „— 3“ — — — — — — 8.000 ფუთი.
2. ფურცლოვანი ზომით 1 | 16 „—5 | 8“ — — — — — 1.000 „
3. ზოლოვანი „ 3 | 16 „—3 | 4-დან 3 „X3“-მდე— 1.000 „
4. კუთხოვანი სხვადასხვა ზომის — — — — — — — 2.500 „
5. ორტესებრივი № 15 60 ფუთი, № 18 40 ფუთი.
6. ტესებრივი 25 X 25 X 3 | 2 100 ფუთი, 130 X 65 X 3,5—1400 ფუთი.
7. ვარცლებრი № 3—50 ფუთი, № 6,5—50 ფუთი.
8. რონები ვიწრო ლიანდაგის სიმძიმით 7 გირ. ერთ ფუტში—2000 ფუთი.
9. რომები ნორმალურ ლიანდაგის ტიპის IY-ა—3000 ფუთი.

მოწოდების ვადა არის: 15 | Y—3000 ფუთი, I | YI— 3000 ფუთი. I | YII—10.000 ფუთი, I | YIII—3000 ფუთი.

რკინეგების სიგრძე უნდა იქნეს: რგვალი და ორტესებრივის 38—40 ფუტი დანარჩენი სორტამენტის რაოდენობის ნახევარი 14 ფუტი და ნახევარი 20—22 ფუტი.

შეკვეთის შესრულების ვადა უზრუნველყოფილი იქნება მისაღებ თანხებიდან 1 პროც. დაკავებით შეუსრულებელ შეკვეთის ღირებულებებიდან ყოველ ვადაზე გადაცილებულ დღეებში.

ამ მოწოდებაია სრულიად ან ნაწილობრივად აღების მსურველ პირთ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება სათანადო საღერბო მარკებით დახურულ კონვერტში წარწერით „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 30 აპრილის შეჯიბრებისათვის“, რომელ დღესაც 3 საათზე მოხდება კონვერტების გახსნა.

განცხადებას დართული უნდა ექნეს განცხადებულ ჯამიდან 5 პროც. რაოდენობა ზაჰესის სალაროში საწინდრის შეტანის ქვითარი.

უძრავი ქონება და სხვა ამგვარი საწინდრად არ მიიღება.

საწინდრის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან სახელმწიფო დაწესებულებანი.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ შეკვეთა არ დარჩებათ, საწინდარი დაუბრუნდებათ უკან შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

ხოლო იმ პირთა და დაწესებულებათა საწინდარი, რომელთ შეკვეთა გადაეცემათ, დარჩება ზაჰესის სალაროში და გადადებული იქნება საერთო ჯამიდან 10 პროც. რაოდენობამდი პირველი მისაღები თანხებიდან დაკავებით და დაუბრუნდებათ უკან შეკვეთის სრულიად და პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

სახელმწიფო დაწესებულებათ საერთო ჯამიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდრის შესადგენათ დაეკავებათ პირველ მისაღები თანხებიდან 15 პროც.

დაწვრილებით ცნობების და პირობების გაგება შეიძლება ზაჰესის სამუშაოთა სამმართველოს სამსალო ნაწილში (ლადო დუმბაძის ქუჩა № 3, ყოფილი ველიამინოვის) ყოველ დღე დილის 10—12 საათამდის.

ნის. 1169. 2—1

სამუშაოთა უფროსი, **ინჟენერი ბ. ბიჟინაძე.**

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონ-ცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ზო-ზინდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქმრ რურგიულ ავადმყოფობათ (სი-სივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი. საავადმყოფების მიღება დილის 8 თიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—11

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. ბლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-პირდაპირ. № 3203. 25—10

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზ-შვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—21

ARARIS UKANASKNELI

კეფირი, ვიდრე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს **ყველაზე საუკეთესო** კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ.

ამ მოწოდებით ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს.

მსურველთ შეიძლება სახლში მიეგზავნოთ 5. 1106 25—7

ექიმი

ლ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სართული კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—10.

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პრეს. № 18

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—9

დაკარგვა ატესტატები 1. ქალაქ-ორის დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის გათავებისა და 2. ქუთაისის 1-ლი დაწყებით უმაღლეს სასწავლებლთან არსებულ ორწლიან პედაგოგიურ კურსების გათავებისა შალვა სოლომონის ძე წერეთლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1133

დაკარგვა პასპორტი გაცემული თბილისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან დანიელ გიორგის ძე თევზაძის სახელზე № 1567. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1137

დაკარგვა ლომბარდის ქვითარი № 8028. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1139

დაკარგვა სამხედრო პირადი წიგნაკი მოცემული მეორაიონის სამხედრო მაგიდის გამგისაგან, მიხეილ სიმონის ძე დემეტრაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად

1—1 1136

დაკარგვა კავშირის დროებითი მოწმობა გიორგი ზაქარიის ძე ავალოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1138

დაკარგვა პირადი წიგნაკი № 1620 31 იანვარს 1925 წ. მე-11 უბ. მიღებული პლატონ ტბიტნის ძე ტაბატაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1131

დაკარგვა სამხედრო ბარათი № 418 | 651, ემან ხ. ა. იდესონის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1134

დაკარგვა პირადობის მოწმობა ლ. მეტრიკეა, მიეცემოდა ონის (რაჭის მაზრა) აღმასრულებელ კომიტეტიდან, არჩილ იოსების ძე არეფიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 1135

ქართული წითელი ლაშქრის მთლიანი კოოპერატივი

გალანსი

აქტივი — 1924 წლის 1 ოქტომბრის — პასივი

ნაღდი საშუალებანი		
სალარო	7.416—58	
სახელდახ. ანგარიშები ბანკებში	3.023—58	10.440—11
ძოლება		
უძრავი	4.159—75	
მოძრავი	25.979—22	30.138—97
საძოვნელი (თვითდირებულებ.)	184.017—79	184.017—79
აქც., პაეები და ფას. ქაღალდ.	6.452—21	6.452—21
ბანყოფილებანი:		
განყოფილებების ანგარიში მთ. კანტორაში:		
ქუთაისის განყოფილების	5.979—89	
ბათომის „	7.168—27	13.148—16
დებიტორები		
სხვადასხვა პირ. და დაწეს. ანგ-შით	31.460—23	
სხვა ანგარიშებით	16.150—65,5	47.610—88,5
საწარმოო დარგები		
დარგ. ანგ. მთ. კანტ.	30.114—12,5	30.114—12,5
სასადილოები		
თბილისის	738—00	
ქუთაისის	415—28	1.153—28
მასალები და უბრალო ნაკეთები	18.759—20	18.759—20
სასოფლო-სამეურნეო დარგები		
მესაქონლეობა	2.840—69	
მეფუტკრეობა	3.357—99	6.198—68
ბანგზეობა კოოპერატივის		
გამგ. ანგ-ში ხე-ტყის ქარხ.	1.198—05	1.198—05
ზარბადი 1924 საანგ. წლის	11.658—46	11.658—46
	360.889—92	360.889—92

საკუთარი თანხები და ფონდები:		
საპაიო თანხა	5.000—80	
ძირითადი თანხა	55.786—79	
სათადარიგო თანხა	1.158—47	
ამორტიზაციის ფონდი	5.919—35	67.865—41
სესხი		
თამასუქები დისკონტში	10.125—00	
ანაბარი	2.393—90	12.518—99
კრედიტორები		
სხვადასხვა პირ. და დაწ. ანგ-შით	209.598—78,5	
გაცემული თამასუქ. ანგარიშით	26.772—29	
ანგარიშვალდ. პირთა „	117—71	
თანამშრომელთა „	314—97,5	
გარდამავალი ჯამების	3.436—05	240.239—81
საწარმოო დარგები		
ხე-ტყის ქარხ. ანგ-ში მთ. კანტ.	1.198—05	1.198—05
ბანგზეობა კოოპერატივის		
გამგ. ანგ-ში ქუთაისის განყოფ.	5.979—89	
„ „ ბათომის „	7.168—27	
„ „ ბოგას-კიასანის მამულ.	25.919—59	39.067—75
	360.889—92	360.889—92

გამგეობის თავმჯდომარე **ი. შ. ეგრალიძე**

მთავარი ბუხჰალტერი **ბ. ი. კანდელაკი**

1—1 წ. № 1159

გამგეობის წევრნი: **ვ. ნ. ბახტაძე**, **ბ. ბ. ბერაძე**

ტირაჟი—22.202

ბარია ეოსტოკაზ. სტამბა, საზა წულუკიძის ქ. № 4